


საქართველოს





დაარსებულია 1918 წელს.
შაბათი, 28 სექტემბერი, 2013 წელი.
№186 (7313)

რუსულენოვანი

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

სააკაუვილის ხმა გადაადგლისა გაეროსა უინა

რა უჯდება მოქალაქეს
სახელმწიფოს
შენახვა?



ვინ ავირჩიოთ თუ
ვინ აბვირჩევს?

„მცნება“ „ნაცინულაბს“
ვადაგდელი საკრლამენბო
არჩევნების
დანიშვნით
ემუქრება



ყვავი რომ არ
აბულებულდეს...



მცირე
დრაკონის
კბილკბი

სიამაყე ქვეყნისა და
საბჭარულოსი
ვიქტორ ნოზაქის დაზადების
120 წლისთავი

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

„სანთლები იღვბა, ესენი კი დაუსრულებელი სანთლებია“

— 306 არის გამარჯვებული? არც არაფერი არ არის. ყველა წაგებულა ქართველებიც, აფხაზებიც, რუსებიც და ყველა, ვინც მონაწილეობდა ამ საშინელ ტრაგედიაში, უწმინდესმა ყოვლადწმინდა სამების ტაძარში საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ქადაგების ბრძანა.



პატრიარქის თქმით, იგი 11 წლის განმავლობაში აფხაზეთში მიტროპოლიტად იყო და არ ახსოვს არც ერთი შემთხვევა რაიმე გაუგებრობისა აფხაზეთსა და ქართველებს შორის. უწმინდესის თქმით, სრული სიყვარული იყო, აფხაზები მიდიოდნენ ქართველებთან და ქართველები — აფხაზებთან.

— ეს იყო ნამდვილი ერთი ოჯახი, ერთი სული და ერთი სორცი, მაგრამ ეშმაკს ეს შეშურდა და დააბირა ამ ერთობის გაყოფა. მიიწია ვთქვა, რომ დღესაც ზოგიერთი ცდილობს ეკლესიის სწავლებლები და ბუტონის ღობეები ააშენოს აფხაზებსა და ქართველებს შორის, ოსებსა და ქართველებს შორის, მაგრამ ეს ყველაფერი ამაოა. შინაგანი გაანალიზებით ვგრძნობთ, რომ ამას აკეთებს მტერი. შედეგები ის იქნება, რომ მტერი წაგებულა იქნება, — აღნიშნა კათოლიკოს-პატრიარქმა.

— განსაკუთრებით მინდა გავიხსენო ზოგიერთი ადამიანი — თიული შარტავა, ის იყო და არის გმირი. ის იყო უშიშარი. როდესაც ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი აფხა-

ზეთში ომის დროს ჩავიდა, მას აღუბრუნა სელები ცისკენ და უთქვამს — ღმერთმა მე დამსაჯოს, თუ საქართველო გადარჩება. იმ დღეებში თიული შარტავა და სხვები დახვრიტეს. ტრაგედიის შემდეგ სრულიად უცნობი პირისგან მივიღე წერილი. თიული შარტავას დახვრეტის დროს, ამ უცნობს უკითხავს, თუ ვინ იყო ეს პიროვნება.

იგი წერდა, რომ სახელი და გვარი რომ არ დავიწყოდა ასანთის კოლოფზე ჩაიწერა. თქვენ უნდა იამაყოთ, რომ ასეთი თავდადებული შვილები ყავს საქართველოს, — წერდა უცნობი. ჩვენ მართლაც ვამაყოთ და ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, — აღნიშნა უწმინდესმა.

პატრიარქმა ასევე მოიხსენია ლორიკ მარშანია, იური ანუა, მღვდელი ანდრია გაბისკირია და სხვები. პატრიარქმა ბრძანა, რომ ისინი არიან უფლის წინაშე ანთებული სანთლები, რომლებიც არასდროს არ ჩაიწვება.

— სანთელი იღვბა, ესენი კი დაუსრულებელი სანთლებია, — აღნიშნა უწმინდესმა.

ამასთან, ქადაგების ბოლოს, პატრიარქმა აღნიშნა, რომ მიიღეს გადაწყვეტილება და დიდი თავდადებისა და ღვაწლისათვის ყოველი შარტავას მიენიჭა ჯილდო წმინდა გიორგის ოქროს ორდენი. „ეს ჯილდო მის ოჯახს გადაეცემა. ღმერთმა დალოცოს მისი უკვდავი სული“, — აღნიშნა უწმინდესმა.

ქადაგების დასრულების შემდეგ უწმინდესმა ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა.

პარაკლისის ბოლოს, უწმინდესმა ახალი ინიციატივის შესახებ ბრძანა. მისივე თქმით, 23 მაისს, წმინდა მოციქულ სიმონ კანანელის ხსენების დღეს, „აფხაზეთობას“ აღნიშნავენ.

ვილნიუსის სამიტის წინ

სუამის ღმერთი ქვეყნები ვილნიუსის სამიტზე პრეზიდენტი პოლონეთში წარსვლიან

რუმინულ სუამ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიის ფარგლებში სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე იქნა მიღებული.

— სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომის განხილვის მთავარი თემა ვილნიუსის სამიტი იყო და მინისტრებმა მიიღეს დროული გადაწყვეტილება, ვილნიუსის სამიტზე წარვდგეთ ერთობლივი პრესრელიზით. ერთობლივი პოზიცია ლოგიკურია, ვინაიდან აღმოჩნდა საკუთარი პარტნიორობის 6 ქვეყნიდან ყველამ საკუთარი არჩევანი გამოხატა. 4 ქვეყანა, რომელიც სუამ-ის წევრია, მიიღეს ევროპისკენ, სხვა-დასხვა ტემპებით, განსხვავებული ფორმატით, მაგრამ ევროპული მისწრაფებები ყველას აერთიანებს, — აღნიშნა სუამ-ის გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩეჩელაშვილმა.

მისივე თქმით, ერთობლივი პრესრელიზით სუამ-ის წევრი ქვეყნები დააფიქსირებენ საკუთარ პოზიციას „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივისა და ევროკავშირთან შემდგომი თანამშრომლობის შესახებ.

აკაკალ გული

წერტილოვანი ფრაზები

- უნიჭობა, როგორ ხართ?
- ნავაროს სულ კიდეა, მთავარია მწვადი არ მოაკლდეს დასიებული ყბებში, თორემ მაგან რქაწითელის სპირტიანობის %-ზე უკეთესად იცის, ვიდრე ამომრჩეველის განწყობები.
- ძვირფასო სამინისტროებო, იცით თუ არა რომ, არსად ცვილი ნებულ სამყაროში სამინისტროების სატელევიზიო რეკლამები არ კეთდება... ერთადერთი რეკლამა, რაც მე მინახავს, არის თავდაცვის სამინისტროს ვიდეორგოლები, სადაც ახალგაზრდებს მოუწოდებენ, ჩაეწერონ არმიასში... ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება საფრანგეთში შსს-მ რო მსგავსი რეკლამა გააკეთოს „ფრანგული პოლიცია მუდამ თქვენს სადარაჯოზეაო“... წარმოიდგინეთ და მწვადი არმიის მანქანების ფონზე პირდაპირი ჩართვები პარიზის და მარსელის ქუჩებიდან... ხოლო და მაგ ფულით, ჩემო კარგებო, სხვა უფრო კეთილი საქმეები რო აკეთოთ ვერაა?

- ადვილზე, რომ ვთქვა, ბრძენი გამიზრდია უბეშო, ხომ არც შამფურს დავეწვავ და არც მწვადა?
- გრცხვენოდეთ, კვესიტაქე საბერძნეთში მიდის მოხუცის მოსავლელად, პაიჭაქე — ფორთოხის შესაგროვებლად!
- 27 სექტემბერი დადგა და ჩემი გული გახეთქა ზე... ვერაფერს ვაკეთებთ ამდენი ხალხი, გარდა იმისა, რომ აქ ვწერთ ჩვენს სატელევიზიო რეკლამებს... მეც და ვერაფერს და ახალადა გამოვედი მთავარ გვერდზე და უცებ გავჩერდი... ახალგაზრდებს რამდენიმე პოსტი შემხვდა-დაგვიცინიან.
- ჯერ უცებ მწყინა, პასუხის გაცემაც მინდოდა, მაგრამ უცებ სხვა აზრი გამიჩნდა-უცებ მივხვდი, რომ სწორია!
- მივხვდი, რომ მეც ზუსტად ეს მინდა — ომი მხოლოდ დაუფერებელ წარსულად ეჩვენებოდა! ჩვენც ხომ დაუფერებლად გვეჩვენებოდა ჩვენი სამამულოების ნაამბობები...



ჰამერბერგის ანგარიში

სამართლო რეფორმის გზაზე რეალურ პროგრესს აღწევს

კონსტიტუციური და სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მონიტორინგის თომას ჰამერბერგის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელსაც ყველა მოუთმენლად ელოდა, ნათქვამია, რომ საქართველო რეალურ პროგრესს აღწევს და რომ ევროპა რეფორმების პროგრამას მხარი უნდა დაუჭიროს.

ანგარიშში დადებულია შეფასებული ქვეყნის სამართლებრივი სისტემის გარდაქმნისაკენ გადადგმული ბოლოდროინდელი ნაბიჯები, ასევე ანალოგიური ძალისხმევა გაღებული ისეთი მიმართულებებით, როგორცაა ადამიანის უფლებების დაცვა, შრომის კანონმდებლობა, „ელიტარულ კორუფციისთან“ ბრძოლა და წარსულის დაუსჯელობის აღმოფხვრა.

ჰამერბერგი წერს, რომ საქართველომ შეძლო „ბოლო თვეებში არაერთი გადაუჭრელი და ღრმად ფესვგადგმული, მათ შორის სასამართლო სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაწყვეტა“. თავის შეფასებას ის ასრულებს საერთაშორისო თანამეგობრობის სადმი, და ევროპულ ევროკავშირის სადმი მოწოდებით, რომ ამ უკანასკნელმა განაგრძოს მონაწილეობა ქვეყნის დემოკრატიულ გან-

ვითარებაში, რადგან „ევროპა აშკარა დაინტერესებულია, რომ საქართველოს დემოკრატია განვითარდეს და შემდგომშიც განმტკიცდეს“.

საქართველო და ევროკავშირი ნოემბერში ასოცირების შეთანხმების პარაფირებას მოახდენენ.

თამარ ჩუგოშვილიმა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამშემვემ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თანახმობის საკითხებში, განაცხადა, რომ მთავრობა „სრულად განახორციელებს ბ-ნი ჰამერბერგის რეკომენდაციებს და ამ მიზნით ამოქმედებს ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმას. რეფორმების გაგრძელებითა და ევროკავშირთან თანამშრომლობით, და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, მაღელ საქართველო შეძლებს, სრულად მიიღოს ევროპული და ევროპალიანტიკურ ინტეგრაციას“.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ქვეყანა შედის „მეორე გარდამავალ პერიოდში მისი დამოუკიდებლობის დღიდან“ (1991 წელი). დოკუმენტი ეხება ასევე რამდენიმე მგრძობიარე საკითხს, მათ შორის მთავრობის მხრიდან სამართლიანობის აღდგენის ძალისხმევა. „მნიშვნელოვანია დაუსჯელობასთან ბრძოლა, და მათ შორის სა-



ჯარო მოხელეების მიერ ჩადენილ დანაშაულებებთანაც“, ვკითხულობთ ანგარიშში.

27 ოქტომბერს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. ჰამერბერგი აცხადებს, რომ ეს იქნება „ტენსტი ყველასათვის, ვინც ჩართულია ამ პროცესში, მაგრამ მთლიანობაში გარემო წინა არჩევნებთან შედარებით მშვიდია“ და „მედიის გარემოც შედარებით პლურალისტური და თავისუფალია“, ასევე „შეკრების უფლების თავისუფლება უკეთ არის დაცული“.

გასულ კვირაში New Europe-ს რეფორმების შესახებ, საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ესაუბრა.

„ეს მთავრობა მემკვიდრეობის სახით დატოვებს ევროპულ დემოკრატიულ სისტემას, რომლის შეცვლა შეუძლებელი იქნება“, თქვა წულუკიანმა. ეს არის „სისტემა, რომელიც ნებისმიერ მინისტრსა და პოლიტიკოსზე დიდხანს იტოვებს... „დღემდე, ჩვენ გვაგონდა ძლიერი ფიგურები ლიდერების სახით, მაგრამ მათი წასვლის შემდეგ, ცხოვრება კვლავ ბინძური რჩებოდა. ჩვენ არ გვჭირდება ინტერსონები, არამედ გვჭირდება ინსტიტუტები“.

ინდი ქარლინი, „neurope.eu“

ინფორმაცია

გამორისხული არ არის. საქართველოსთვის ყაზახეთის რუსეთის და გელორსიის

გაზრდა ვითარება გართულდა

პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან მოლაპარაკების საკითხებში ზურაბ აბაშიძე არ გამორიცხავს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, საქართველოსთვის ყაზახეთის, რუსეთის და ბელარუსის ბაზრებზე ვითარება გართულდეს. ასეთი რისკის თაობაზე აბაშიძემ ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით კომისიის, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის და დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ერთობლივ სხდომაზე ისაუბრა. ამ კონტექსტში მან ყურადღება გაამახვილა საბაჟო კავშირსა და იქ მიღებულ ახალ რეგულაციებზე.

— საბაჟო კავშირში ძალიან სერიოზული ახალი ნორმატივები და რეგულაციები შემოდის. ეს არის კიდევ ერთი არგუმენტი იმისა, რის გამოც მას უნდა დაეფაქტორდეთ. შეიძლება ჩვენს მეღვინეებს ბელორუსში და ყაზახეთში პროდუქციის შეტანა გაუჭირდეთ. იქ ერთიანი რეგულაციაა. მას შემდეგ, რაც ევროკავშირთან ასოცირებულ ხელშეკრულებას მოეწერება ხელი, ალბათ ეს ბაზარი მთლიანად გართულდება ჩვენთვის — ყაზახეთი, რუსეთი და ბელორუსია. თუმცა, იმედი მაქვს, რომ ეს არ მოხდება, — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ კომიტეტების სხდომაზე და იმის იმედიც გამოთქვა, რომ „აქ არ იქნება უკრაინა“.

ამასთან, აბაშიძემ დეპუტატებთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსული ბაზარი, სარისკო ბაზარია და ახლა ბიზნესის გადასაწყვეტია შევა თუ არა იგი ამ ბაზარზე.

ჩვენს სამარსხვიანად. საქართველოს ტერიტორიის რუსეთის ვაშლიანობის უწყრადლობად დარჩა

— გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ჩვენს სამარსხვიანად, ეს პრობლემა ყურადღების მიღმა დაგვრჩა. ვფიქრობ, ჩვენ სხვა მხარეს ვიფურებით და ასე არ უნდა ვიქცევოდეთ, — განაცხადა ამერიკელმა კონგრესმენმა ელიოტ ნიკოლსმა, რადიო თავისუფლების ევროპული ბიუროსთვის მიცემულ ინტერვიუში.

ელიოტ ნიკოლსმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონი გულგრილი არ უნდა დარჩეს იმის მიმართ, თუ როგორ ახდენს რუსეთი ზენოლას მუშაობაზე, რომლებიც ევროკავშირისკენ მიისწრაფიან.

— რუსეთი იწყებს საკუთარი გავლენის გაზრდას და ვფიქრობ, უნდა გავაგებინოთ, რომ ვიცით, რასაც აკეთებს და არ მოგვწონს. ჩვენ შევხვებით, მხარი დაუჭირებთ და დავეხმარეთ ამ ქვეყნებს, იმოქმედონ საკუთარი სურვილით — და არ იყვნენ იმის მუქარის ქვეშ, რომ ნავთობისა და გაზის მიწოდებას შეუწყრებენ ან ბოიკოტს გამოუცხადებენ მათ პროდუქტს, — განაცხადა ამერიკელმა კონგრესმენმა და დასძინა, რომ ყველანაირი მუქარა მიუღებელია.

ინტერპრესი

პრეზიდენტის „საჩივი“

მიხეილ სააკაშვილის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, დიპლომატიურად უპრეცედენტო აღმოჩნდა. ეს მიხეილ სააკაშვილის ბოლო სიტყვა იყო მსოფლიოს უმაღლესი ტრიბუნლიდან და გასაკვირი ნამდვილად არ არის, თუ ოპოზიციაში გადასვლის წინ, მოქმედმა პრეზიდენტმა თავისი პროექტის კვინტესენცია გამოაქვეყნა.

მაგრამ დიპლომატიაში ძალიან იშვიათია, როდესაც ქვეყნის ლიდერი მეზობელი სახელმწიფოს პრეზიდენტზე ამბობს – დაიხსომეთ ჩემი სიტყვები, ის სულ რამდენიმე წელიწადში ნავა ხელისუფლებიდან! ასეთი რამ მიღებული არ არის, რადგან ჯერ ერთი, ამგვარი პროგნოზი მეტისმეტად სარისკოა (რომ არ გამართლდეს?), გარდა ამისა, რუსეთს არათუ დიდი ხანია, არამედ არავინ არასდროს არც ერთ შემთხვევაში არ ელაპარაკებოდა და არ ელაპარაკება ამგვარი ტონით და „უორდინგით“. მათ შორის არც ის ქვეყნები, რომლებიც სააკაშვილმა ჩამოთვალა, როგორც ბოლოდროინდელი რუსული აგრესიის მსხვერპლი: უკრაინა, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი... თავისთავად ეს ჯერ კიდევ არ ქმნის საფუძველს უარყოფითი შეფასებისთვის, მთავარია, ლიდერის პასიონარული მსოფლიო პოლიტიკის „მეინსტრიმი“ თავსდებოდა, ესე იგი გლობალურ პროცესთა ქარი უბერავდეს ზურგსა და იალქნებში.

მაგრამ რომ „უბერავს“ თვითონ და არ უბერავს ეს ქარი, რა ვქნათ?

უკრაინის უბედურებასა და რუსეთის სასტიკ ზეწოლაზე თვით უკრაინა რატომ არ ლაპარაკობს გაეროს ტრიბუნლიდან? არადა, ფაქტია, არ ლაპარაკობს! ჩვენ მის ნაცვლად რატომ უნდა ვილაპარაკოთ და მისი სათქმელი ჩვენ რატომ უნდა ვთქვათ?

როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრ ფანჯიკიძეს ჯერ კიდევ სააკაშვილის გამოსვლამდე ჰკითხეს, ნაიკითხა თუ არა მან პრეზიდენტის სიტყვა, ქალბატონმა მაიამ აშკარა სევდით უპასუხა, რომ ნაიკითხა, მაგრამ გამოსვლამდე კომენტარს არ გააკეთებს. საეჭვოა პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი ასეთი „საჩივი“ წარმდგარიყო მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე, თუმცა უბედურება ისაა, რომ მან და მისმა გუნდმა იცინა, რა არ შეიძლება, ოღონდ თავად რა უნდათ, ეს არ იციან და ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდნენ.

ამიტომაც მიდის ივანიშვილი, რომ ხელისუფლება პასუხისმგებლობას და მკაფიო პოზიციის დაფიქსირებას ნიშნავს. სააკაშვილი კი, ასეთ საწყალობელ ფონზე გამოიყურება როგორც ლიდერი, რომელმაც იცის მაინც რა უნდა. სიგაჟა თუ არა. ან არადიპლომატიურია თუ არა – სხვა საკითხია. მაგრამ თუ „გიჟია და ბოდავს“, მაშინ შენ შენი „ჭკვიანური“, „გონივრული“ და „რეალისტური“ პროექტი ხომ უნდა დაუპირისპირო? რაკი ვერ უპირისპირებ და არც გააქვს რაიმე ალტერნატიული პროექტი, მაშინ მისი გამოსვლა უღერს, როგორც ქვეყნისა და ერის უალტერნატივო პოზიცია, რაც უბრალოდ არ შეესაბამება სიმართლეს. 2008 წლის აგვისტოში საქართველომ მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ რუსეთთან მარადილი ომი არ უნდოდა და არ უნდა. ამის არც განწყობა აქვს და არც ილაჯი. თუ ვინმეს ჰგონია, მსოფლიოში გამოეპარათ, როგორ უცხოებდნენ ხაშურსა და ზუგდიდში ხაჭაპურებს რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს, ან როგორ სჭირდებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას თბილისიდან დარეკვა, რათა რუსულ „ბლოკპოსტებთან“ მცირერიცხოვანი მშვიდობიანი აქციები მაინც გამართულიყო, როგორ ასრულებდნენ გუბერნატორები რუს



საკაშვილის ხმა გლობალურ ბაზროს შინა

სი გენერლების მძლავრ ფუნქციას და როგორ აცილებდა რუსულ ტანკებს ფოთამდე ქართული საპატრულო პოლიცია, ან რა სამარცხვინოდ დაყარა მეორე ბრიგადამ კოდორის ხეობაში ამერიკული M4-ები – ძალიან ცდება.

ამ ფონზე კი, რაც არ უნდა ილაპარაკოს სააკაშვილმა გაეროს ტრიბუნლიდან, რა ორატორული ნიჭიც არ უნდა გამოამჟღავნოს, იგი მაინც იმ ქვეყნის პრეზიდენტია მთელი მსოფლიოს თვალში, რომელმაც, გადაწყვეტ მომენტში მსხვერპლისათვის მზადყოფნა, რეალური წინააღმდეგობის უნარი და ნება ვერ (არ) გამოავლინა.

* * *

ბარდს ამისა, მნიშვნელოვანია კონტექსტი, რომელშიც სააკაშვილის სიტყვამ გაიჟღერა: წლებადღელ გენერალურ ასამბლეაზე არათუ საქართველოს ოკუპაცია, არამედ ევრაზიული კავშირის იდეა და მეზობელ ქვეყნებზე რუსეთის ზეწოლა არც მეორე და არც მესამე თვისხარისხოვანი საკითხი არ ყოფილა. რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს პუტინის მიერ ინიცირებული პროცესი, ეს მაინც გლობალური ინტერესის პერიფერიაა. ვინც ამ დასკვნას არ ეთანხმება, ამისხნას: რატომ არ ისაუბრა ამ თემაზე თავის გამოსვლაში ამერიკის პრეზიდენტმა (ხაზს ვუსვამ: არათუ მოკავშირე საქართველოს ოკუპაციაზე, რომლის პრეზიდენტს სადაღაც დერეფანში ჩამოართვა ხელი, არამედ რუსეთის პოლიტიკაზე მეზობლების მიმართ), რატომ არ ასხენა ეს თემა რომელიმე სხვა დასავლელმა ლიდერმა?

არ აინტერესებთ, რადგან არ აქვთ რეალური ბერკეტები რუსეთზე ზეწოლისათვის და არც სერიოზულ საფრთხედ აღიქვამენ ამ „ევრაზიულ კავშირს“, რომელიც ისტორიული ტრადიციის გაგრძელებაა მხოლოდ და არა რაიმე ახალი, მათთვის სახიფათო იდეა.

პოლიტიკის ოქროს კანონია, რომ როცა ვერაფერს ამბობ, სჯობს საერთოდ გაჩუმდე. აი, რაც აინტერე-

სებთ და რაც ჯერ კიდევ შესაძლებელია, იმაზე იცოცხლე, ბევრს ლაპარაკობენ: სირია, ირანი, ისრაელი და ა.შ. რუსეთი განიხილება ამ პრობლემების კონტექსტში, ჩვენ კი გვინდა, იგი საქართველოს ოკუპაციის ან თუნდაც „ევრაზიული იმპერიის“ შექმნის კონტექსტში განიხილებოდეს. დავაკვირდეთ სააკაშვილის აქცენტებსა და ძირითად მესიჯებს: „ფაზლის“ სიზუსტით თავსდება მის ტრადიციულ კოორდინატთა სისტემაში, რომლის „ტეგებია“: „მოსკოვი“, „ევროპა“, „გათავისუფლება“, „დამოუკიდებლობა“, „იმპერიის უარყოფა“, „ევროკავშირი“, „ბერლინის კედელი“, „პუტინის დიქტატურა“, „კომუნისმი“, „ნაციონალიზმი“, „კრემლი“ და ა.შ.

მაგრამ გაეროს ტრიბუნლიდან გამომსვლელი (მათ შორის დასავლელი ლიდერები) თანამედროვე გლობალურ დისკურსს უკვე სულ სხვა კოორდინატთა სისტემაში განიხილავენ: „სირია“, „ირანი“, „ბირთვული საფრთხე“, „ტერორიზმის საფრთხე“, „ქიმიური იარაღი“ და „მასობრივი განადგურების საშუალებათა გავრცელების საფრთხე“, „ეკონომიკური კრიზისი“, „ეკოლოგია“ და სხვა.

გლობალური დისკურსის ნაწილი აღარ არის ნაციონალიზმი და კომუნისმი, აღარ არის მოსკოვის საფრთხე (გარდა უშუალოდ იმ ქვეყნებისა, ვისაც ეს საფრთხე რეალურად ემუქრება და ისინიც კი ვერ ბედავენ ამგვარი „უორდინგით“ გამოსვლას), აღარ არის იმპერიალიზმი და ჩვენს გარდა არავინ უნდოდეს რუსეთს „21-ე საუკუნის უკანასკნელ იმპერიას“.

აღარ არის და რა ვქნათ? ვახლოთ კედელს თავი?

შენ გინდა თუ არა, მოგწონს თუ არა, გტკივა თუ არა, მსოფლიო (უფრო ზუსტად კი მთავარი გლობალური მოთამაშეები) მაინც გაიძულეს მიიღო მისი პრიორიტეტები, მისი „დღის წესრიგი“ და შესაბამისი დიპლომატიური „უორდინგები“ ბუშის ადმინისტრაციის ძალიან მოსწონდა ქართული რეფორმაცია. ჩვენს ახალგაზრდა რეფორმატორებსაც უხაროდათ, რომ „მოსკოვის მიუხედავად“ ზესახელმწიფოს ლიდერმა თბილისში ჩამოსვლა გადაწყვიტა, მაგრამ ბუშის სპირით თავისუფლების მოედანზე ცივი შხაპი აღმოჩნდა, რადგან თუ იმ სიტყვას თუნდაც თვალს გადავავლებთ, სავსებით აშკარაა: ბუშის ადმინისტრაცია საქართველოს მართლა განიხილავდა დემოკრატიული რეფორმირებისა და კრეატიული მოდერნიზაციის მაგალითად, ოღონდ არა პოსტსაბჭოური სივრცისთვის (ანუ მიშასეულ „კოორდინატთა სისტემაში“), არამედ „დიდი ახლო აღმოსავლეთისათვის“ და იქ მომწიფებული „არაბული გაზაფხულისთვის“.

ამგვარი ცდომილება ქვეყნისთვის მორიგი საშინელი ტრაგედიით რომ არ დასრულდეს, მას უნდა ჰყავდეს ხელისუფლება, რომელიც რევოლუციურ რომანტიზმს და „ქარის ნისქეილებთან“ ბრძოლას არა უბრალოდ პრაგმატიზმს, არამედ ალტერნატიულ პროექტს დაუპირისპირებს. საქმეც სწორედ ისაა, რომ დღევანდელ ქართულ ელიტას ამგვარი პროექტი არ აქვს, ამიტომ ბიძინა ივანიშვილის წასვლისა და იმ გარდაუვალი დომხალის ფონზე, რაც ამის შედეგად ქვეყანაში გამეფდება, მის „საჩივი“ გაეროში შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს მისი ბოლო სიტყვა პოლიტიკაში, ისევე როგორც 2008 წლის აგვისტოს უბედურება – უკანასკნელი კატასტროფა საქართველოს მრავლისმნახველ და ბედკრულ ისტორიაში.

გელა კალანდიაძე, X0-308-360

ვებგვერდი „სახელმწიფოს ფასი“

რა უჯდება მოქალაქეს სახელმწიფოს უნახვა?

„სახელმწიფოს ფასი“ – priceofthestate.ge – ასეა დასათარებელი ვებსაიტი, რომელიც საჯარო ფინანსების კვლევის ინოვაციურ საშუალებას წარმოადგენს. საიტზე თავმოყრილია ინფორმაცია სახელმწიფო შემოსავლებისა და დანახარჯების შესახებ; დეტალურადაა წარმოდგენილი, თუ რამდენს და რა მიმართულებით ხარჯავს სახელმწიფო და როგორ იცვლება ეს მონაცემები. არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ შექმნილი ეს საიტი ასევე იძლევა საშუალებას, ყოველმა მოქალაქემ გაიგოს, თუ რა უჯდება პირადად მას სახელმწიფოს უნახვა.

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრში“ განმარტავენ, რომ გადასახადის გადამხდელი მხოლოდ დასაქმებული პირი არ არის. თითოეული მოქალაქე გადასახადს იხდის მაშინაც, როცა ყიდულობს პროდუქტს ან მომსახურებას, იხდის დამატებული ღირებულების ან აქციზის გადასახადს. „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ პროგრამების მენეჯერის ირინა გურულის თქმით, საქართველოში ხალხის უმეტესობისათვის პრაქტიკულად უცნობია

მათ მიერ გადახდილი გადასახადებიდან რამდენი მიდის სახელმწიფოს ბიუჯეტში და რაში იხარჯება ეს თანხები. მაინც რა უჯდება მოქალაქეს სახელმწიფოს უნახვა, თუ მისი ხელფასი, მაგალითად, 2000 ლარია, ხოლო ყოველთვიური დანახარჯი 1600 ლარი, საბანკო სესხის გადასახადი შეადგენს 400, ტრანსპორტის ხარჯი კი 200 ლარს, კვირის განმავლობაში ყიდულობს ორ კოლოფ სიგარეტს, ორ ბოთლ ლუდსა და ერთ ბოთლ ღვინოს? ირინა გურულის თქმით, საიტზე არსებული სპეციალური კალკულატორის საშუალებით შეგვიძლია გავარკვიოთ, თუ რა უჯდება ამ ვირტუალურ მოქალაქეს სახელმწიფოს უნახვა: ამ „ჩეკის“ მიხედვით, აღმოაჩნებ, რომ უფასო არაფერი არ არის და ყველაფერში ფულს ვიხდით. ყველაზე ძვირი არის ადგილობრივი ბიუჯეტები – 285 ლარი გვიჯდება წელიწადში. მას მოსდევს პენსიები და საგზაო ინფრასტრუქტურა... ირინა გურული.

„ამ მონაცემების მიხედვით, თვეში გადასახადი 655 ლარი და 18 თეთრია, რაც აღემატება საშემოსავლო გადასახადს, რომელიც 400 ლარია. ეს ნიშნავს იმას, რომ მსაათიან სამუშაო დღეში 5 სთ-სა და 23 წთ-ს

გემუშაობთ ჩვენთვის, ხოლო 2 სთ-სა და 37 წთ-ს სახელმწიფოსთვის“.

გარდა ამისა, საიტზე priceofthestate.ge შესული მოქალაქე შეძლებს მოიძიოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენია სახელმწიფოს ბიუჯეტი, რამდენს აგროვებს სახელმწიფო გადასახადებების სახით, რამდენია სახელმწიფოს ვალი და რამდენს იხდის მოქალაქე ამ ვალის დასაფარად ან საჯარო მოსამსახურეების შრომის ასანაზღაურებლად. ირინა გურულის თქმით, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება შეიძლება ეგრეთ წოდებული „სახელმწიფო სერვისების ჩეკიდან“: „ამ „ჩეკის“ მიხედვით, აღმოაჩნებ, რომ უფასო არაფერი არ არის და ყველაფერში ფულს ვიხდით. ყველაზე ძვირი არის ადგილობრივი ბიუჯეტები – 285 ლარი გვიჯდება წელიწადში. მას მოსდევს პენსიები და საგზაო ინფრასტრუქტურა (231-231 ლარი). ყველაზე იაფი არის საზოგადოებრივი მუშაობის დაფინანსება (6 ლარი) და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება, რაც მხოლოდ 9 ლარი გვიჯდება წელიწადში“.

იხ. 4 გვ.

ალიან-ჩალიანი

ერთ წელიწადში საქართველოში არს ერთი სოფელი არ იქნება უშუქოდ

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა უშუქო სოფლების ელექტრიფიკაციის გეგმა წარადგინა. მისი თქმით, სამუშაოებს კომპანია „ენერგოპროჯოგია“ განახორციელებს.

– დღეისათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით 29 სოფელია, რომლებსაც ათეული წლებია ელექტროენერჯია არ მიეწოდება. ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანიის შორის მიღწეული შეთანხმებით, თიანეთის, თეთრიწყაროს, ხაშურის, გორის, ქარელის, კასპისა და ადიგენის რაიონების არსებული რვა სოფლის ელექტრიფიკაცია მიმდინარე წელს იგეგმება. სამუშაოები ნოემბერ-დეკემბერში განხორციელდება, – აღნიშნა ელოშვილმა.

რაც შეეხება დანარჩენ 21 სოფელს, ელოშვილის თქმით, მათი ელექტრიფიცირება 2014 წელსა და 2015 წლის პირველ ნახევარში მოხდება.



იხტმარპსი

ალტერნატივა

ვუცძმრი საქართველოს საპრეზიდენტო კანდიდატების მართონ და მწარე ფიქრებში ვარ ჩაფლული. ამომრჩეველი ვარ და ამიტომ!

რას ვფიქრობ იცით? არ გეგონოთ, ჩემი საფიქრალი ის არის, ამდენ კანდიდატს შორის რომელი ავირჩიო-მეთქი. არა, ჩემი კეთილი, აქ საფიქრალი არაფერია. მე იმის ფიქრი მანუნებს, ნუ-თუ მართლა ამდენი მამაცი, ბრძენი და თავდადებული მამულიშვილი გამოჩნდა პოლიტიკურ მარბულებში მოქცეული ქვეყნის პრეზიდენტობას რომ მოინდომებს კაცი, ან ჭკუა-გონებითა და სიამამითა უნდა იყოს აღვსილი და სიკეთით გამორჩეული, ან...

ნორმალურ ქვეყანაში, სადაც მის მოქალაქეებს სამშობლო უყვართ, უმრავლესობა იმაზე კი არ ფიქრობს, პრეზიდენტად ვინ აგვირჩევესო, არამედ იმაზე, ვინ ავირჩიოთო. „ვინ ავირჩიოთო“, სამშობლოზე ფიქრია, „ვინ აგვირჩევესო“ — საკუთარ თავზე ზრუნვა. ამიტომაც გამიკვირდა, ამდენი „სამშობლოზე მოფიქრალი კაცი, საიდან გამოგვეცხადა-მეთქი.

არ არიან ეგენი სიამამაცითა და ჭკუით აღსავსენი, ვხედავთ ამას ჩვენ. არც მათ პროგრამისნიერ დაპირებებს ეტყობა სახელმწიფოებრივი აზროვნება და არც მათ საქციელს — სიბრძნე.

შე კარგი დედამისი შვილო, შუა ხნისა ისე მოიყარე, ორი კაცის უფროსი არ ყოფილხარ, შენი ბიძაშვილ-მამიდაშვილებისა და კარის მეზობლების გარდა სალმითაც არავინ გიცნობს და ქვეყნის უფროსობას აპირებ? აფერუმ შენს გამბედაობას!

თუმცა, არა! უცხოელი „მოყვრების“ მიერ დასმული და ან უკვე ვადაგასული ე. წ. საქართველოს პრეზიდენტის მაცქერალს, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. ამ კაცს თუ არ მოუხიფებოდა ჭკუა-გონება და სიდარბაისლე საიმისოდ, რომ „დემოკრატიის შუქურა“ გამხდარიყო და ათიოდე წელი „მორჭმით“ მჯდარიყო საპრეზიდენტო სავარძელში, ჩვენ ვითომ რითი ვართ მაგაზე ნაკლებიო, — თქვეს და ისუვლეს ერთად.

ეს კი, მაგრამ იმათი საქმისა გამკვირვებია, ვინც მათი მხარდამჭერების სიპაი თავისი ნებით დურთა თავი. თქვე კი ხალხიო, საქართველო რომ არ გიყვართ, ვხედავ, მაგრამ რამ შეგაძულათ ისე, რომ ყველა შემთხვევითი გამვლელი შეგიძლიათ მის პრეზიდენტად შე-

რაცხოთ. ანდა თქვენ თვითონ სად აპირებთ ცხოვრებას? ვის იმედად გინდათ იყოთ?

უნებურად მახსენდება კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენიდან“ მომაკვდავი მეფე გიორგი რომ ეუბნება მსახურს, ჩვენში ყველა გლახაკს მეფობა უნდა და ყველა გულნამცევას გმირად მოაქვს თავიო. რა მართალი ათქმევინა თავის გმირს მწერალმა! აგერ ჩვენს თვალწინ არ გაცხადდა ყველაფერი?

სიბრიყვე მარტო არასოდეს არის. მას ყოველთვის გვერდით უდგას უდარდლოობა, ჩვენებურად რომ ვთქვათ, ფეხებზემედილობა. ვინმე ბრიყვ დათიასა თუ გივიას ფეხებზე ჰკიდიათ საქართველოს ანმყოც და მომავალიც. სიბრიყვის გამო, იმას კი აღარ ფიქრობენ, რომ საქართველოს ანმყოც დათი ანმყოცა, მისი მომავალი კი შვილების მომავალი. ამის ფიქრის თავი რომ ჰქონოდათ, მაშინ ხომ სიფრთხილით მოეკიდებოდნენ საპრე-

ვიმეს სერიოზულ საქმედ მიაჩნდეს. თვითონ მასაც არ ეტყობა სერიოზული საპრეზიდენტო განწყობა.

მეორეს უპრინციპო და მოლაღატის სახელი აქვს დამკვიდრებული. ლაპარაკი კი იცის (მისი პროფესიაა), მაგრამ იმდენი ძალა არ შესწევს, რაიმე სერიოზული პროგრამა წარმოადგინოს. იგი ყოველთვის გაბატონებული პოლიტიკური ძალის სატელიტი იყო და, მისთვის უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება ასეთადვე დარჩეს.

მესამე კანდიდატი კომიკურად ცნობილი „პოლიტიკოსია“, რომლის პოლიტიკური მოღვაწეობა ანეკდოტების სიუჟეტების წყაროა და მეტი არაფერი. არა მგონია საქართველოში იმდენი სულელი იყოს, რომ ამ „კომედიანტმა“ სერიოზული რაოდენობის ხმები მოაგროვოს.

მეოთხე კანდიდატის სამწუხარო სოლიდური პოლიტიკური გამოცდილება აქვს. საქართველოს მოსახლეობას თუ პოლიტიკური სკლეროზი არ დამართნია, ამ „მეოთხეს“ წარმატების არავითარი შანსი არ აქვს.


მეხუთე კანდიდატი ერთობ პოპულარული და ჯერჯერობით საყოველთაოდ ნდობით აღჭურვილი კაცის პროტექტეა. ჯერ ერთი, ჩვენში დიდი პატივით არასოდეს სარგებლობდა კაცის კაცი და, მეორეც, მისი გაკეთებული საქმე ჯერ არავის უნახავს, ხოლო ის, თუ როგორ დაახასიათა მან საკუთარი თავი, ერთობ საეჭვოს ხდის მის პრეზიდენტობას.

მექვსე (უფრო კი პირველი!) კანდიდატი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს, რაც კი შეიძლება ყველაზე მაღალი სტანდარტებით წაუხიფებო პრეზიდენტობის მონადინეს. მართალია, იგი ერთდროს იმათთან იდგა, ვისთანაც დგომა უკიდურესად სათაკილოა, მაგრამ დროზე უგანა მათ, მონინა და შეურიგებელი ოპოზიციონერად იქცა. მას ქვეყნის მართვის ცოდნაც აქვს და გამოცდილებაც. მისი პოლიტიკური ორიენტაციები ყველაზე რაციონალურია და გადარჩენის დიდ შანსს იძლევა. იგი დამოუკიდებელი და ძლიერი პიროვნებაა.

ძალიან კარგი იქნებოდა მისი დონისა, ან მასზე აღმატებული მეორე კანდიდატიც რომ მოიძებნებოდა, ცოტა მაინც დაფიქრებოდა კაცი და ისე გააკეთებდა არჩევანს, მაგრამ რომ არ არის?

ზურაბ ცუცქერიძე

ვინ აპირებოთ თუ



ვინ აპირებს?

იფიქრებ კაცი: მართლა ჩვენი ეროვნული თვისება ხომ არ არის ეს კომიკური ნაკლი? კი, ბატონო, ამბიციურობა შეიძლება მართლაც იყოს ჩვენი გენეტიკურად დადღასმული ნიშანი, რაც გამოვლინდა კიდევ პრეზიდენტობის მონადინეთა ამქარში, მაგრამ, განა მათი მხარდამჭერებიც ამბიციურები არიან? მითხარით ერთი, რისი ამბიცია უნდა ჰქონდეს ვინმე მალთაყვა ჭრიანშვილს, როდესაც ასევე ვინმე ქაქუჯა ჯამფილაშვილის გაპრეზიდენტობის მოთხოვნაზე ანერს ხელს. ეს ამბიცია კი არა, პიტალო სიბრიყვეა და სიბრიყვე რომელიმე ხალხის ეროვნული თვისება ვერ იქნება. სიბრიყვე გაუნათლებლობის სწონიშია ქართულში. სიბრიყვის წამალი ცოდნა-განათლებაა მხოლოდ, რაც ასე აკლია ჩვენს თანამემამულეთა ერთ ნაწილს.

ზიდენტო კანდიდატის არჩევას, კარგად დაფიქრდებოდნენ იმაზე, თუ ვინ საით უპირებს წაყვანას საქართველოს.

საპრეზიდენტო არჩევნების მართონში ჩართული მრავალრიცხოვანი რაზმის წევრების ცალცალკე დახასიათებას არ გამოვუდგებ, რადგან დახასიათებელიც არაფერია. მათი უდიდესი უმრავლესობის საპრეზიდენტო ამბიცია, უბრალოდ, სასაცილოა (სატირალი თუ არ გაგვიხდა!). ამ პოლიტიკურ ბაკქანალიში გამოირჩევა ექვსი კაცი, რომლებსაც საქართველოში იცნობენ და არც მათი ჭეშმარიტი დახასიათება უნდა გაუჭირდეს ნორმალურ და პატიოსან კაცს.

ერთ მათგანს ყველა იცნობს და მის მართ დადებითი განწყობაც სრულიად აშკარაა. თუმცა ამ „მარად ოპოზიციონერის“ გაპრეზიდენტება არა მგონია

ვებგვერდი „სახელმწიფოს ფასი“

რა უჯდება მოქალაქეს სახელმწიფოს შენახვა?

„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრში“ იმედოვნებენ, რომ საიტის აქტიური მომხმარებლები იოლად შეძლებენ მათი გადასახადებით მოქმედი მოთავრობის ეფექტიან კონტროლს. ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ევგენიძემ რადიო თავისუფლებას უთხრა: ჩვენ გვჯერა, რომ ვებგვერდი „სახელმწიფოს ფასი“ საზოგადოებას მისცემს მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხარჯავს მთავრობა საზოგადო ფულს. რაც უფრო მეტად იქნებიან მოქალაქეები გარკვეული საბიუჯეტო პროცესებში, მით უფრო მეტი მოთხოვნილება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ საბიუჯეტო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში... მარკ ლასმანი.

„ეს ყველაფერი აძლევს მოქალაქეს იმის საშუალებას, რომ გაიზაროს: სახელმწიფო კი არ გვარჩენს ჩვენ, არამედ, პირიქით, ჩვენ ვართ ის ხალხი, რომელიც ზრუნავს იმაზე, რომ ქვეყანაში პროგრესი იყოს და რეფორმები განხორციელდეს. ამიტომ სრული უფლება გვაქვს მოვითხოვოთ ქვეყნისთვის სასიკეთო რეფორმების განხორციელება, წინსვლა, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა მთავრობის მხრიდან, რაც მისცემს ადამიანებს იმის საშუალებას, რომ გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები არა ერთჯერადი ღონისძიებებით, არამედ გრძელვადიან პერსპექტივაში.“

ნინო ევგენიძის თქმით, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ პროექტი „სახელმწიფოს ფასი“ დააფინანსა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, რომლის პროგრამის (G-PAC — საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა

და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში) ხელმძღვანელის მარკ ლასმანის თქმით, აღნიშნულ საკითხში სლოვაკეთის წარმატებული გამოცდილება ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა: „ჩვენ გვჯერა, რომ ვებგვერდი „სახელმწიფოს ფასი“ საზოგადოებას მისცემს მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხარჯავს მთავრობა საზოგადო ფულს. რაც უფრო მეტად იქნებიან მოქალაქეები გარკვეული საბიუჯეტო პროცესებში, მით უფრო მეტი მოთხოვნილება ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ საბიუჯეტო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში. ეს ყველაფერი კი უფრო გამჭვირვალეა და პასუხისმგებლურს გახდის მთავრობის დანახარჯებს.“

მარკ ლასმანის თქმით, საიტი უთუოდ დაეხმარება საზოგადოებას სამოქალაქო ცნობიერების გაზრდასა და იმის გააზრებაში, რომ უშუალოდ ისინი ქმნიან იმ საზოგადოებრივ სიკეთეებს, რომელსაც მთავრობა ანაწილებს. G-PAC-ის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე ირინა ლაში დაწინაურებულია, რომ საიტის მომხმარებლები მეტად თავდაჯერებულნი იქნებიან მთავრობასთან ურთიერთობის დროს.

„მათ აქვთ უფლება, მოთხოვონ მთავრობას უფრო მეტი, მაგალითად, უკეთესი გზის დაგება. ხშირად საზოგადოებრივი სიკეთეები აღიქმება როგორც ვიდაცის მიერ ჩვენთვის — მოქალაქეებისთვის — გაკეთებული საჩუქარი. რეალურად კი ეს ჩვენ მიეწვება შექმნილი“, — უთხრა ირინა ლაშიმა რადიო თავისუფლებას.

ჯივზირ რეპორაჟი, რადიო „თავისუფლება“

ალიან-ჩალიანი

გორში სტალინის მონუმენტის აღმართვა არ მოხდება

გორში არანაირი სტალინის მონუმენტის აღმართვა არ ხდება, ეს ტყუილია. ამის შესახებ შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ლიტვის ნაციონალური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

ურუნალისტი დაინტერესდა, წელს დაიდგა თუ არა გორში სტალინის მონუმენტი.

— წინა მთავრობა „პიარს“ კვლავაც აქტიურად იყენებს და ესაა სწორედ ამ ყველაფრის მიზეზი, არანაირი სტალინის მონუმენტის აღმართვა არ ხდება გორში, ეს ტყუილია. არც მის დაბადების დღეზე მოხდება მონუმენტის აღმართვა. საქართველოს მთავრობა ამას არ გააკეთებს, ეს სასაცილოა — განაცხადა ღარიბაშვილმა. რაც შეეხება იმას, შეძლებენ თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები აღნიშნულ თემაზე დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას, შს მინისტრი აცხადებს, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ამ ყველაფერს ცენტრალური მთავრობის თანხმობა სჭირდება.

— ეს მცდარი ინფორმაციაა, რითაც ისინი დასაჯულ პრესას ასაზრდოებენ. ეს ისეთი არასერიოზული საკითხია, რომ ამაზე სერიოზულად კომენტარის გაკეთებაც არ მინდა. მე რომ განვაცხადო რომ აქ აღმოვაჩინე სტალინის ძეგლი, დამიჯერებთ? რაც შეეხება სტალინის მუზეუმს, ის არსებობს, რომელიც დიდი ხნის წინ აშენდა საბჭოთა პერიოდში. იმედია, სააკაშვილის მთავრობა ჩვენს მთავრობას არ დააბრალებს ამ მუზეუმის აშენებას. არ დაუჯეროთ მსგავს ინფორმაციებს. ასეთი სახის ინფორმაცია აუცილებლად უნდა გადამოწმდეს, — აღნიშნა შს მინისტრმა.



ინტერპრესი

მიტორ ნოზაძე ნოზაძეთა საგვარეულოს ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია. მან ცხოვრების ეკლიანი და ტრაგიკული გრძელი გზა განვლო. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი იძულებით ემიგრაციაში გაატარა და მიუხედავად ტანჯვა-წამებისა, ნივთიერი ნელმოკლეობისა, შექმნა მდიდარი მეცნიერულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. თავიდანვე მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ყურადღების ცენტრში მოექცა „ვეფხისტყაოსანი“ – ჩვენი პოეტური კულტურის, ჩვენი ხალხის ეროვნული თვითყოფადობის უპირველესი და ყველაზე მეტყველი ძეგლი. მან რუსთველოლოგიური მეცნიერება პირველხარისხის შრომებით გაამდიდრა.

ქართველი ხალხი კომუნისტური მმართველობის პერიოდში, სამწუხაროდ, მოკლებული იყო ვიქტორ ნოზაძის შემოქმედების გაცნობის შესაძლებლობას. ამჟამად ეს მამულიშვილური საქმე ითავსებს მისმა მოგვარებებმა, რომლებმაც დააარსეს „მიტორ ნოზაძის საზოგადოება“, რომელიც გამოსცემს ვიქტორ ნოზაძის თხზულებათა სრულ კრებულს, უკვე გამოიცა მეცნიერის მდიდარი მემკვიდრეობის სამი ტომი. ვფიქრობთ, ამით დიდ ეროვნულ თაოსნობას ჩაუვარა საფუძველი. თუ ცალკეული საგვარეულოები თავს მოაბამენ და შეძლებენ თავიანთ გვარში გამოჩენილი მოღვაწეების ნაშრომების გამოცემას, ერთბაშად გამდიდრდება ქართული მეცნიერება, ლიტერატურა, ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრება.

ვიქტორ ნოზაძე დაიბადა 1893 წლის 17 სექტემბერს ზემო იმერეთის სოფელ მოძეში, საჩხერის მახლობლად (ვიქტორ ნოზაძის ბიოგრაფიის დენისას თითქმის მთლიანად ვისარგებლეთ პროფ. გ. შარაძის ნაშრომით „ვიქტორ ნოზაძე“. იხ. ვიქტორ ნოზაძე. თხზ. სრული კრებული, ტ. I, თბ., 2004, გვ. 6-70), მის დედ-მამას – ივანე ნოზაძესა და ალათი გაფრინდაშვილის ასულს ოთხი შვილი ჰყავდათ: ვიქტორი, მარო, გიორგი და პავლე (პალიკო). ამათგან მარო (ივანე მაჭავარიანის მეუღლე) შედარებით ადრე გარდაიცვალა, პავლე (პალიკო) ნოზაძე 20-30-იან წლებში საკმაოდ ცნობილ ფუტურისტ პოეტად ითვლებოდა, რომელიც 1937 წელს იქნა რეპრესირებული, ხოლო ვიქტორი და გიორგი ემიგრაციაში მოხვდნენ. გიორგი ნოზაძე და მისი მეუღლე ლიდა შარაშიძე პარიზთან ახლოს, ათეული წლების განმავლობაში ლევილი სახლობდნენ და ამ რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალნენ (დაკრძალეს ლევილის ქართულ სასაფლაოზე). ამ მრავალრიცხოვანი ოჯახის ერთადერთი პირდაპირი შთამომავალი, პალიკო ნოზაძის ქალიშვილი – ხათუნა ნოზაძეც ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა (დარჩა ვაჟი მიხეილ მანდარია) და დაკრძალეს თბილისში.

პირველდაწყებითი სწავლა ვიქტორ ნოზაძემ საჩხერის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო, რომლის დამთავრების შემდეგ მშობლებმა ის შეიყვანეს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებელში, აქედან კი მიჰყავდა ქუთაისში, სადაც ვიქტორმა 1910 წელს ჩააბარა გამოცდები ქართული გიმნაზიის მეექვსე კლასში. ამ დროს გიმნაზიის დირექტორი იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი, რომელიც მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდა თავის მოწაფეებს.

1913 წელს ვიქტორ ნოზაძემ ოქროს მედლით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და სწავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარმატებით დაამთავრა.

ქ. ქუთაისში ვ. ნოზაძე ფაქტობრივად რედაქტორობდა ადგილობრივ გაზეთს „სოციალურ-დემოკრატს“, ხოლო შემდეგ, თბილისში მიბრუნებისას, ერთხანს მთავრობის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი იყო (როგორც აღმოჩნდა, ის აღნიშნული გაზეთის პირველი რედაქტორი იყო).

1919 წლის ბოლოს ვიქტორ ნოზაძეს, სხვა 70 ნიჭიერ ახალგაზრდასთან ერთად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა აგზავნის საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად, ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1928 წელს გადასახლდა პარიზში, სადაც დაიწყო რედაქტორული და ჟურნალისტური მოღვაწეობა. გამოსცა ჯერ სხვებთან ერთად ჟურნალ „ორნატის“ რამდენიმე ნომერი, აგრეთვე, სხვა ჟურნალებიც, და შემდეგ ხელი მოჰკიდა (ი. მანწკავას და ედ. პაპავასთან ერთად) დიდფორმატიანი ლიტერატურულ-მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალის „კავკასიონის“ გამოცემას, რომლის გამომცემელი, რედაქტორი, კორექტორი, ავტორ-თანამშრომელი, აწმყობი და ექსპედიტორი, ერთსა და იმავე დროს თვითონ ვიქტორი იყო სიკვდილამდე (გ. იმნაიშვილი, ვიქტორ ნოზაძე, „კავკასიონი“, XVIII, 1976, გვ. 6).

„ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვიქტორ ნოზაძე თავაულებლივ ფუტკარივით შრომით ემსახურა ქართულ კულტურას – ისტორიას, ლიტერატურას, პოლიტიკას, პუბლიცისტიკას, საგამომცემლო საქმეს თუ ჟურნალისტიკას... მან თავის ხალხს დაუტოვა უმდიდრესი მემკვიდრეობა“ (დ. ვასაძე. ჩვენი ვიქტორი, „კავკასიონი“, XVIII, 1976, გვ. 11)

რუსთაველის უკვდავი პოემის მეცნიერული თანმიმდევრობით „ჩხრეკას“, როგორც ვიქტორს უყვარდა თქმა, მან ომის უკანასკნელ წლებში მოჰკიდა ხელი. თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750-ე წლისთავს ვიქტორ ნოზაძემ ჯერ კიდევ 1937 წელს პარიზში მი-



მიტორ ნოზაძე ქართველოლოგი ლია ფლურთან ერთად (კიტა ჩხენკელის მოწაფე), 1974 წ.

სიამავე ქვეყნისა და საბჭოეულოსი

ვიქტორ ნოზაძის დაბადების 120 წლისთავი

უძღვნა ჟურნალ „ქართლოსის“ საგანგებო – მე-11-12 ნომერი, რომელშიც სხვათა წერილების გვერდით დაბეჭდილია ვ. ნოზაძის ნარკვევი: „ვეფხისტყაოსანი – ეროვნობის კავშირი“.

თითქოს არის იმაში რაღაც სიმბოლური, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებით მან ვრცელი გეოგრაფიული არეალი შემოიარა – ინგლისი, გერმანია, ავსტრია, არგენტინა, ჩილე, ბრაზილი, ესპანეთი, და ბოლოს, ისევე საფრანგეთი და ამ ოცდაათწლიან „ველად გაჭრის“ მეტად მძიმე პირობებში, ყოველგვარი ხელშეწყობის გარეშე, მარტოდმარტომ, დიდი ნიჭისა და ურყევი ნებისყოფის წყალობით, შექმნა და სამშობლოს დაუტოვა ექვსი მოწამულური ტომი, რომელთაც იგი გზადგაბა თვითონვე აწყობდა და ბეჭდავდა კიდევ: ესენია: 1. „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, ბუენოს-აირესი, 1953 წ., 2. „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1959 წ., 3. „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ., 4. „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1959 წ., 5. „ვეფხისტყაოსნის ღვთისმეტყველება“, პარიზი, 1963 წ., 6. „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“, პარიზი, 1975 წ.

ამ უკანასკნელში, მეექვსე ნიგნის გამოცემას ავტორი ველად მოესწრო: ნიგნის სულ ექვსი ნაკვეთიდან სამი უკვე დაბეჭდილი ჰქონდა, ხოლო მეოთხე ნაკვეთის წერისას იგი მოულოდნელად ავად გახდა და სულ რაღაც რვა დღეში გარდაიცვალა. აუწყობელი დარჩა „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველების“ მეოთხე ნაკვეთის ბოლო ნაწილი და მესამე და მეექვსე ნაკვეთები. ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა მისმა ძმამ – გიორგი ნოზაძემ, რომელიც თავის მეუღლე ლიდა შარაშიძესთან ერთად სიცოცხლეშიც არ აკლებდა თავის უფროს ძმას ზრუნვას, ნივთიერ და მორალურ მხარდაჭერას. აქვე უნდა ითქვას, რომ წლების განმავლობაში ვიქტორ ნოზაძეს დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა უცხოეთში მოღვაწე ქართველი მილიონერი და ქველმოქმედი ავთანდილ მერაბიშვილი.

ვიქტორ ნოზაძე გარდაიცვალა 1975 წლის 24 აპრილს, დილით, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ საფრანგეთში, ქალაქ არპაჟონის საავადმყოფოში, 82 წლის ასაკში. ანდერძის თანახმად, 26 აპრილს დაკრძალეს პარიზთან ახლომდებარე დაბა ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაცია ნოზაძეთა საგვარეულო კავშირს – „ვიქტორ ნოზაძის სა-

ზოგადოებას“ – თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 30 ივლისს გაატარა რეგისტრაციაში და მიანიჭა იურიდიული სტატუსი. ფაქტობრივად, ამ დროიდან იწყება ორგანიზაციის რეალური ფუნქციონირება, მაგრამ ეს სპონტანურად არ მომხდარა. ყოველივე ამას წინ უსწრებდა დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში წარმოებულ მუშაობასა და საგვარეულო კავშირის შექმნის მცდელობა.

მნიშვნელობით გამორჩეული იყო ნოზაძეთა გვარის წარმომადგენლის 1993 წლის შეხვედრა, სადაც გაჩნდა იდეა, საგვარეულო კავშირისათვის ნოზაძეთა გვარის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის, ცნობილი მეცნიერისა და მოაზროვნის – ვიქტორ ნოზაძის სახელი ეწოდებინათ და ერთ-ერთ პირველ ღონისძიებად სამშობლოდან გადახვეწილი დიდი ქართველის საიუბილეო ზეიმის – დაბადებიდან 100 წლისთავის აღნიშვნა დასახეს. შეიქმნა სამთავრობო საიუბილეო კომისია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის და მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წარმომადგენლის მონაწილეობით. კომისიის მუშაობაში ნოზაძეთა საგვარეულო კავშირის მამინდელი პრეზიდიენტი, ცნობილი მეცნიერი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში, ან გარდაცვლილი, აკადემიკოსი ალექსანდრე (საშა) ნოზაძე მონაწილეობდა. სამწუხაროდ, დაგეგმილ და ხელისუფლებასთან შეთანხმებული ღონისძიების ჩატარებას აფხაზეთში დაწყებული ომმა შეუშალა ხელი და „საზოგადოების“ საქმიანობა პრაქტიკულად შეწყდა. ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის გამო საგვარეულო კავშირი 2003 წელს ვერც მეცნიერის 110 წლისთავს გამოეხმაურა სათანადოდ. მხოლოდ ერთი წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

„ვ. ნოზაძის საზოგადოების“ ძირითადი პრიორიტეტი დღეისთვისაც კვლავაც ვიქტორ ნოზაძის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესწავლა-პოპულარიზაციაა.

გაითვალისწინა რა ამ საზოგადოებამ ჩვენი ხალხის ინტერესი ემიგრანტული ლიტერატურისადმი, რომელიც დღეს უკან უბრუნდება სამშობლოს, გადამწყვიტა, გამოსცეს ვიქტორ ნოზაძის ან უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული შრომები. ამ მიზნით გამეფობა დაუწყვიტა საქართველოსა და უცხოეთის არქივებს, მუზეუმებს, სამეცნიერ ცენტრებს, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, პირველ რიგში ემიგრანტული ლიტერატურის ცნობილ მკვლევარს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევერ-კორესპონდენტს, ტრაგიკულად დაღუპულ პროფესორ **ბურბან შარაძეს**, რომელმაც დიდი შრომა გასწია ვ. ნოზაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის. მან უცხოეთიდან ჩამოიტანა მეცნიერის არქივის დიდი ნაწილი და უნიკალური საბეჭდი დაზგა, რომელზედაც ვიქტორ ნოზაძე საკუთარი ხელით აწყობდა თავის ნაშრომებს და ბეჭდავდა კიდევ. საზოგადოებამ ასევე მოიძია სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში სხვადასხვა წლებში გამოქვეყნებული ექვსტომეული და, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უკვე გამოსცა პირველი სამი ტომი („ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“, „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“ და „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“).

2005 წლის 23 მარტს რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა I ტომის პრეზენტაცია ცნობილი ქართველი მეცნიერების: ქალბატონ გურია კვარაცხელიას, ბატონების – გურამ შარაძის, გურამ ბენაშვილის, ელიზბარ ჯავახიშვილის, რევაზ სირაძის, რევაზ თვარაძის და სხვათა მონაწილეობით, ნიგნმა დიდი მონონება დაიმსახურა.

გადაწყდა აგრეთვე, ვიქტორ ნოზაძის ხსოვნის პატივსაცემად მეცნიერის მშობლიურ სოფელ მოძეში აშენდეს სახლ-მუზეუმი, ამ სოფლის სკოლასა და დაბა საჩხერის ერთ-ერთ ქუჩას უკვე ეწოდა ვიქტორ ნოზაძის სახელი, ხოლო ვიქტორ ნოზაძის დაბადების 120 წლისთავთან დაკავშირებით, რომლებიც ახლახან, 17 სექტემბერს შესრულდა, მოძვის საჯარო სკოლაში იხსნება მუზეუმი, სადაც სხვა ექსპონატებთან ერთად განთავსდება საბეჭდი დაზგაც.

„ვ. ნოზაძის საზოგადოების“ გამგეობა უმორჩილესად გთხოვთ, მოგვანოდოთ მასალები ვიქტორ ნოზაძის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით, რომელიც გამოიფინება მის მუზეუმში. ამასთან, გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა ვიქტორ ნოზაძის სამეცნიერო შრომების გამოცემაში.

„ვ. ნოზაძის საზოგადოების“ გამგეობის ოფისის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №69, V საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, X კორპუსი, V სართული, ოთახი 3.

ტელ: 2 33 45 38 (ოფისი), 2 91 26 29
მობ: 599 53 54 44

ბაიოზ ნოზაძე,
ნოზაძეების საგვარეულო კავშირის
„ვიქტორ ნოზაძის საზოგადოების“
გამგეობის თავმჯდომარე.

მსოფლიო და ჩვენი



ბიძგული ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაჩაღებულ „ბინძურ ომში“ ვარსკვლავის საათად იქცა ვიეტნამის საერთაშორისო ცხოვრებაში. შემდეგ ქვეყანა პოლიტიკურ ჩრდილში შევიდა. ახლა იგი კვლავ გამოდის მსოფლიო ავანსცენაზე, მაგრამ ახალი იმოსტასით ალაპარაკდნენ „მცირე ურჩხულის ეკონომიკურ სასწაულზე“. თუმცა, მას სხვადასხვაგვარად ხსნიან.

ამ თემაზე თავის აზრებს გვიზიარებს ინდონეზიელი და ახლახან დაბრუნებული მეცნიერი და პუბლიცისტი ბიორბი ცხ-გოლოვი.

ვიეტნამი და გარკვეული

1991 წლის შემდეგ მსოფლიო ოთხი ქვეყანა კვლავ უწოდებს თავის თავს სოციალისტურს. ჩრდილოეთ კორეასა და კუბას ამისთვის აქვს ყველა საფუძველი. ვიეტნამთან და ჩინეთთან დაკავშირებით კი არის აზრთა სხვადასხვაობა.

ვიეტნამის ლიდერები ძველებურად ახდენენ დეკლარირებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და „ხო ში მინის იდეებისადმი“ მიდრეკილების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავენ დღევანდელი მთავრობისა და მომავლის სოციალისტურ ხასიათს ქვეყნისა, რომლის ალისფერ დროშებზეც, უწინდებულად ოქროსფერად ბრწყინავს სუთქიმიანი ვარსკვლავი, ნამგალი და ურო. მაგრამ ისმება კითხვა, როგორ უკავშირდება ეს ეკონომიკაში კაპიტალისტურ ურთიერთობათა მზარდ არქიპოვლავს?

გაერცვლებულია საპირისპირო მტკიცებაც: ვიეტნამი სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადადის. თანაც ზოგი არც მთლად კრიტიკის გარეშე აღნიშნავს, რომ პროცესი შეიძლება მომხდარიყო უფრო თანმიმდევრულად და უფრო სწრაფად, სხვები კი ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოში უკვე დიდი ხანია არსებობს კაპიტალისტური „მიგთავისი“, სოციალიზმისგან კი მხოლოდ „გარეკანი“ დარჩა.

რას აქვს ადგილი სინამდვილეში? საიდან მიდის ვიეტნამი?

გარკვეული მიწის საჯაროება

1975 წელს ოკეანისგაღმედი აგრესორებზე გამარჯვებისა და ქვეყნის გაერთიანების შემდეგ სოციალიზმის დროშის ქვეშ ვიეტნამი ვითარდებოდა ორთოდესული მარქსიზმის კალაპოტში. ომის წლებში გამართლებული ცენტრალიზებული გუნდურადმინისტრაციული სისტემა მშვიდობიან პერიოდში მკაფიოდ ავლენდა დაცემისა და მოდუნების ხასიათს. სსრ კავშირის მხარდაჭერამ, რომელიც გაიზარდა 1978 წელს ვიეტნამის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში მიღების შემდეგ, საშუალება მისცა — როგორც ნორმალურ მდგომარეობაში შეენარჩუნებინა ქვეყნის ეკონომიკა. თუმცა ხალხის საგალალო მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა.

1980-იანი წლების შუა პერიოდში სოციალისტური იარები გამოწვევდა. ადრე შემგუბეული და მომთმენი საზოგადოების ქვედა ფენებში დრტივიზა დაიწყო. მასობრივი უკმაყოფილების შიშით კომუნისტური პარტიის პოლიტიკურად გადანყვითა გამოსულიყო ცვლილებების ინიციატორად.

როგორიღაც „საბაზრო“ ექსპერიმენტები გამოცადეს ადრეც. მაგრამ ჰანოი არ რისკავდა წასულიყო წინ, შიშობდა არ გამოენჯია „უფროსი ძმის“ უკმაყოფილება — სკკპ ცენტრალური კომიტეტი მაშინ „სოციალიზმის ყოველგვარ ეროვნულ მოდელს“ ებრძოდა.

ხელსაყრელი მომენტი მომწიფდა გორბაჩოვის მიერ გარდაქმნის გამოცხადების შემდეგ. 1986 წლის ბოლოს ვიეტნამის კომუნისტური პარტიის VI ყრილობაზე ასევე გამოაცხადეს „დოი მოი“. თუმცა გადანყვდა დაეწყოთ არა პოლიტიკური ხელისუფლების შერყევით, არამედ კონკრეტული გარდაქმნებით სამეურნეო სფეროში. ვილაცამ

ფორმულაც კი წარმოსახა: „დოი მოი“ — სსაა გარდაქმნა მინუს საჯაროობა“.

ვიეტნამელი ლიდერები სწავლობდნენ კინისიანობას, ნეპს (ახალი ეკონომიკური პოლიტიკა), „შვედურ სოციალიზმს“. სწავლობდნენ „ზიური ვეფხვების“ ნახტომის მიზეზებს. მაგრამ იქ აქტიური დახმარება აღმოუჩინა ამერიკის შეერთებული შტატებმა, რომელიც ცდილობდა განემტკიცებინა კაპიტალიზმის საყრდენები აზიის კონტინენტზე. ამიტომ ყველაზე ხელსაყრელი მაგალითი აღმოჩნდა ჩინეთი და პირველი წარმატებები მისი რეფორმებისა, რომლებიც დაიწყო 1970-იანი წლების ბოლოდან დღე სიაოპინის მიერ.

ჩინეთის რიკინები

ვიეტნამში ისევე, როგორც ციქვეშეთში, გამოაცხადეს: „პრაქტიკა — ჭეშმარიტების კრიტერიუმი“. როგორც იქ, აქაც დაინყეს სოფლის მეურნეობიდან, სადაც და-

დადგენილ მაჩვენებელთა წრე ვინროვდებოდა.

ჩინური ორიენტირი ეხამებოდა სხვა წარმატებული ქვეყნების, უპირატესად აზიის ქვეყნების, გამოცდილების გადმოღებას. ითვალისწინებდნენ ვიეტნამის ეროვნულ თავისებურებებსაც. ცისქვეშეთთან შედარებით ვიეტნამში იყენებდნენ უფრო ფრთხილ მიდგომას, რის შედეგადაც სოციალიზმი რამდენადმე მეტად შენარჩუნდა.

როგორ

აღვაწენ კარს

პროტიმციონიზმი, რომელიც საშუალებას იძლეოდა, შეენარჩუნებინათ წინა წყობილები საფუძვლები, ეტაპობრივად იკვეცებოდა, მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის პოლიტიკა შემოდიოდა დოზირებულად. ხელისუფლებას ესმოდა, რომ სსრ კავშირის მხრიდან დახმარების შეწყვეტის პირობებში უნდა ამოქმედოს ზრდის სხვა, გარე წყაროები. მაგრამ ეს იყო კონტ-

პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ვიეტნამის ეკონომიკაში 70 მილიარდ დოლარს მიაღწია წელიწადში.

ვიეტნამმა მოაწესრიგა ურთიერთობანი ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელმაც გააუქმა სავაჭრო ემბარგო, შევიდა მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში, მიიღო მოცულობითი ბაზარი თავისი პროდუქციის გასასაღებლად. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ, რომლის დროსაც მიიღო მისაღები პირობები, ვიეტნამი 2006 წელს შევიდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში. ამან შესაძლებელი გახადა დიდი ეკონომიკური დახმარებისა და შეღავათიანი კრედიტების მიღება.

კურსმა „სუვერენულ ინტეგრაციაზე“ კარდინალურად შეცვალა ვიეტნამის ძველი კოლონიური პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში. იგი სიდიდით მესამეა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ნავთობის მინოღების თვალსაზრისით. ლი-

მსირა ღრუბნის კბილები

საით მიდის ვიეტნამი? რა ვისწავლოთ ვისგან?

საქმეული იყო მოსახლეობის დიდი ნაწილი. აქაც კოლმეურნეობისა და სახელმწიფო მეურნეობის ნაცვლად დაიწყეს ოჯახური იჯარის შემოღება, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ მიწის იჯარით გადაცემას უშუალოდ მათთვის, ვინც მას ამუშავებს.

„სამხედრო კომუნისზმის“ კანონით მცხოვრებ ქვეყანაში ამუშავდა საბაზრო მექანიკა, რომელიც სტიმულს აძლევდა შრომას და ზრდიდა მის ნაყოფს. გლეხობამ დაიწყო შიმშილიდან გამოსვლა. თუმცა, ბევრი, ვინც სასესხო დამოკიდებულებაში აღმოჩნდა, იძულებული გახდა დაქირავებული სახით შესულიყო მდიდარი თანასოფლელების მეურნეობაში ან სამუშაო ეძებნა ქალაქში.

მთავრობა ეხმარებოდა მათ, ვინც „დამარცხდა შეჯიბრებაში“. მაგრამ ძალები არ ჰყოფნიდა, რაც აიძულებდა ემოქმედებინათ ერთი უკიდურესობიდან მეორეში. კოლექტიური სექტორის მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან არ წყდებოდა, მისი შეკვეცის კურსი კი არ ფორსირდებოდა.

მეწარმეობის თავისუფლებამ ააღორძინა ინიციატივა, გამოაცოცხლა წვრილი მრეწველობა და მშენებლობა, განსაკუთრებით კი — ვაჭრობისა და მომსახურების სფერო. ეკონომიკის ზრდის ტემპში ზოგჯერ წელიწადში 10 პროცენტს აღწევდა.

მცირე დრაკონის სარეფორმატორო ლექსიკონში არ არის სიტყვა „პრივატიზაცია“. სახელმწიფო საკუთრება არ იყიდებოდა, როგორც ჩვენთან, უფასოდ. წამგებიანი ქარხნები ან იკეტებოდა, ან აქციონირდებოდა, რეალურად ორგანიზებული კონკურსებისა და აუქციონირების გზით გადადიოდა ხალხის მონკრებ კერძო სექტორის ძეგლში. თანაც ითვალისწინებდნენ საწარმოების ადმინისტრაციისა და შრომითი კოლექტივის თანხმობას, დაცული იყო მათი უპირატესი უფლება წილის მიღებაზე.

როგორც ჩინეთშიც, ხელმძღვანელობდნენ დევიზით: „ხელში გვეჭიროს დიდი, გავუშვათ მცირე“. სახელმწიფოს კვლავ ეკუთვნოდა სამეთაურო სიმაღლეები ეკონომიკაში — ენერგეტიკა, სამთომომპოვებელი მრეწველობა, ნავთობის საწარმოები, ტრანსპორტი. მის ხელში რჩებოდა ფინანსებიც, თუმცა დროთა განმავლობაში იქაც დაიწყო კერძო, შერეული, მოგვიანებით კი უცხოური ბანკების გაჩენა.

როგორც ჩინეთშიც, ცენტრალიზებული დაგეგმვა კი არ ინგრეოდა, არამედ ხდებოდა უფრო მოქნილი. გეგმა და ბაზარი ერთმანეთს ეხმარებოდა. პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა დაგეგმვა იყო შენარჩუნებული, თუმცა



როლქვემ, და არა სრული ღიაობით, რომელსაც თავს ახვევდა „ვაშინგტონის კონსენსუსი“.

1988 წელს უცხოურმა კაპიტალმა ვიეტნამში კანონმდებლურად მიიღო გარანტია ნაციონალიზაციისგან, რამაც გაზარდა მისი შემოდინება. დასავლეთი ცდილობდა ჩაეთრია ვიეტნამი თავის ორბიტაში. მაგრამ ქვეყნის ხელი სუფლებამ გააკეთა ისე, რომ პირველი კაპიტალი მოდიოდა აზიიდან, კერძოდ, ტაივანიდან, სამხრეთი კორეიდან, სინგაპურიდან, ჰონგკონგიდან, იაპონიიდან და ჩინეთიდან.

ამას გარდა, ემყარებოდნენ ვიეტნამელი ემიგრანტებს („ვიეტკიუ“). 1975 წლის შემდეგ ვიეტნამის სამხრეთიდან, რეპრესიის შიშით, ასობით ათასი ადამიანი წავიდა საზღვარგარეთ. ზოგიერთმა მათგანმა მიაღწია დიდ წარმატებას და არ იყვნენ წინააღმდეგი დაბრუნებულ იყვნენ სამშობლოში. ხელისუფლება მოქმედებდა გარკვეულად, უარს ეუბნებოდა უცხოეთის სპეცსამსახურებთან დაკავშირებულ საეჭყო ელემენტებს. ლოიალური „ვიეტკიუების“ მოზიდვას სამამულო ბიზნესში შემოქმონდა მოწინავე ცოდნა, ტექნოლოგია, გამოცდილება და კავშირთაგანობა.

დიდი ნავსადგომების მახლობლად შეიქმნა სპეციალური ეკონომიკური ზონები. ისინი ბაჟის გადახდისგან ათავისუფლებდნენ ფირმებს, რომლებიც აწარმოებდნენ მოწყობილობის, ნედლეულის იმპორტირებას, აკომპლექტებდნენ იმ პირობით, თუ წარმოებული პროდუქცია შემდეგ გატანილი იქნებოდა ქვეყნიდან. ზოგიერთი შეღავათი მიიღო უცხოურმა კომპანიებმაც, რომლებიც ახორციელებდნენ კაპიტალდაბანდებს ვიეტნამში. გლობალურ კრიზისამდე

დერობს ბრინჯის, კაკლის, შავი წინაკის ექსპორტით და მეორე ადგილი უკავია ყავის წარმოებაში. ვიეტნამი აწვეს არა მხოლოდ ხილს, ზღვის პროდუქტებს, სეკყეს, ქვანახშირს, ხარისხიან და იაფ ტანსაცმელს, არამედ დაზგებსაც, ელექტრონიკასაც, საყოფაცხოვრებო ტექნიკასაც.

სხვათა შორის, ვიეტნამური საქონლის უდიდესი იმპორტიორია ამერიკის შეერთებული შტატები.

ლაპამოქმედი ჯიჩი

როდესაც გააძლიერა ვიეტნამის ეკონომიკა, ბაზარმა გამოუშვა ქონებრივი უთანასწორობის ჯიჩი, გათიშა საზოგადოება მდიდრებად და ღარიბებად. ტენდენციის საპირისპიროდ, ხელისუფლება, უწინარეს ყოვლისა, ცდილობს, შეამციროს იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომლებიც სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ. მიღებულია და მოქმედებს სამთავრობო პროგრამები, მცირე შემოსავლების მქონეების გათავისუფლებული არიან გადასახადებისგან, გაეზარდათ პენსიები და გაფართოვდა სამედიცინო დაზღვევა.

შედეგად სიღარიბე ქვეყანაში ქრება. თუ 1993 წელს იგი, მსოფლიო ბანკის შემომებით, მოსახლეობის 58 პროცენტს შეადგენდა, 10 წლის შემდეგ — უკვე 29, ახლა კი შემცირდა 10 პროცენტამდე. სიღარიბის მაჩვენებელი ვიეტნამში უფრო დაბალია, ვიდრე ჩინეთში, ინდოეთში ან ფილიპინებზე. იმის გამო, რომ ქვეყანაში ცხოვრების დონე მთლიანად სწრაფად იწვეს ზევით, სოციალური განშრევა არ ხდება პოლარიზაციული. როდესაც უბრალო ვიეტნამელების სახლებში მივდივართ, იქ ვხვდავდით მათს თავდაჭერილ, თუმცა სულაც არა ღარიბულ

ცხოვრებას: ყოველ სახლში არის საკუთრებელი, კედლებზე წინაპართა ფოტოგრაფიები, ტელევიზორი, ზოგან კომპიუტერებიც.

ხელისუფლება ხელს არ უშლის მენარმეთა სამართლიან გამდიდრებას. დღეს ვიეტნამში 200-მდე მილიონერია რომელთაგანაც ერთი მესამედი ქალია — ეს სხვა ქვეყნებისთვის არაჩვეულებრივად მაღალი მაჩვენებელია...

მილიარდარი ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკიდან

კომპანია „ვინგრუბის“ მფლობელის ფამ ნატ ვიონგას ქონებას უზუნაღი „ფორბსი“-ს მილიარდ დოლარად აფასებს. ის დაიბადა ჰანოიში 1968 წელს. მამამისი ჩრდილოეთი ვიეტნამის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარებში მსახურობდა, დედა — ჩაით ვაჭრობდა ქუჩაში. სკოლაში ფამი გამოირჩეოდა მათემატიკური ნიჭით და მიიღო სტიპენდია მოსკოვის გეოლოგია-საბადებო ინსტიტუტში სწავლისთვის. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ფამი გაემგზავრა უკრაინაში, როდესაც მცხოვრებდა და ნათესავებში 10 ათასი დოლარი შეაგროვა, უკრაინაშივე გახსნა ვიეტნამური რესტორანი. შემდეგ მოაწესრიგა ატრიის („ლაფშის“) მიწის ნაკვეთი, რომელიც ჩვენში როგორც ბრენდის საზოგადო სახელი გახდა. სამი წლის წინათ მან თავისი კომპანია „ტექნოკომი“ კონცერნ „ნესტლეს“ მიყიდა 150 მილიონ დოლარად.

მოგების ნაწილის ინვესტირება ფამმა ვიეტნამში მოახდინა, შეასრულა ოპერაციები უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, აშენებდა კურორტებს, სავაჭრო ცენტრებს, საცხოვრებელ სახლებს. მის მრავალრიცხოვან პროექტთა შორის ერთ-ერთი სავაჭრო-სასტუმრო კომპლექსი „Vincor Center A“ მე დავინახე, როდესაც საიგონის მთავარ კომერციულ არტერიასზე — დონგ კროიზე მივდიოდი. შთაბეჭდილებები შენობაში შედის უზარმაზარი სავაჭრო მოედნები, ხუთ-ვარსკვლავიანი სასტუმრო 300 ნომერზე და მინის ქვეშა სადგომების რამდენიმე სართული. ახლა ფამი იზიდავს მდიდარი უცხოელი ინვესტორების სახსრებს, რათა „აავოს ვიეტნამი ჰონგკონგის ან სინგაპურის მსგავსად“.

სტაბილურობა ზედა სართულზე

ვიეტნამის კომუნისტურ პარტიაში, რომელიც თითქმის ოთხ მილიონამდე წევრს ითვლის, რამდენიმე წლის წინათ განხილვებოდა საკითხი: შეიძლება თუ არა, რომ პარტიის წევრი ეწეოდეს ბიზნესს? ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიიღეს დადებითი გადაწყვეტილება. ახლა მენარმეთა ერთი მესამედი მისი წევრია.

აზრთა სხვადასხვაობის ხარისხი დიდ საიდუმლოებად რჩება. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი დიდი არაა. ქვეყნის ლიდერები დაინტერესებული არიან სტაბილურობითა და კომუნისტური პარტიის მონოპოლიით ხელისუფლებაში. უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები არ მიიღება ცენტრალური კომიტეტის პოლიტიუროს მონონების გარეშე, რომლის შემადგენლობაშიც სახელმწიფოს ყველა პირველი პირია გაერთიანებული. ამგვარ ერთიანობასა და კონსენსუსს ზოგჯერ ხსნიან კონფუციური ტრადი-



ციებისადმი ერთგულებით. მაგრამ ეს ტრადიციები დამახასიათებელია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის სხვა ქვეყნებისთვისაც. ვიეტნამის რეჟიმი კი ყველაზე სტაბილურია.

პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შორის არ არიან ისინი, ვინც 70 წელსაა გადაცილებული და ცვლიან მათ არაიშვიათად 10 წლისა. შერჩეულ კანდიდატებს აქვთ ომისა და მშვიდობიან პერიოდში ორგანიზაციული მუშაობის მდიდარი გამოცდილება. ისინი არიან იატაკქვეშეთში რევოლუციური ბრძოლის პირველები, განმათავისუფლებელი არმიის ყოფილი მეთაურები, და არა გადავარებული ბიუროკრატები.

მაგალითად, პრეზიდენტი ჩიონგ ტან შანგი იბრძოდა ამერიკელების წინააღმდეგ სპეცდანიშნულების რაზმში საიგონის მახლობლად. რამდენიმე წელი ამერიკის ციხეში გაატარა. ომის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამეურნეო და პოლიტიკურ სარბიელზე. პრემიერ-მინისტრი ნგუენ ტან ზუნგი 12 წლისა გაიქცა ომში, ოთხჯერ დაიჭრა.

ხეხვილი სანა

მცირე დრაკონმა, ჩინეთის მსგავსად, დაისახა ამოცანად 2020 წლისთვის გახდეს მსოფლიოს „მშვიდობის ფაბრიკა“. უკვე დღეისთვის მისი მრეწველობა მთლიანი საშინაო პროდუქტის 40 პროცენტს იძლევა. ქვეყანაში ენერჯიულად შენდება მეტალურგიული და ნავთობგადასამუშავებელი ქარხნები. გამოშვებული გემების ტონაჟის მიხედვით ვიეტნამმა გაუსწრო რუსეთს და მსოფლიოში მე-5 ადგილზე გავიდა. ერთობლივ სანარმოებში ყოველწლიურად უშვებენ 90 ათასზე მეტ ავტომობილს. აქცენტი კეთდება ელექტრონიკაზე, ხელსაწყოთმშენებლობაზე, ბიოტექნოლოგიაზე. საერთო წიგნიერება 90 პროცენტს აჭარბებს. სიცოცხლის ხანგრძლივობამ 75 წელს მიაღწია.

როდესაც შთაბეჭდილებებს ვუზიარებდი ნაცნობებს, ვინც ადრე იყო ნამყოფი ვიეტნამში, ვამჩნევდი ხოლმე, რომ ჩვენი აზრები ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ტაილანდში ყოფილი ჩვენი დიპლომატი ატყვიცებდა, რომ

როდესაც 1980-იანი წლების შუა პერიოდში ჩადიოდა ჰანოიში, ადგილობრივი კოლეგები არ ურჩევდნენ ხოლმე ესერიანა მარტოს საღამოობით. „ვიეტნამელები მაშინ ტაილანდელებზე გაცილებით უარესად ცხოვრობდნენ, — ისხენებდა იგი. ბრაზი და მიუღებლობა იკითხებოდა მათ თვალზე“.

რეფორმების ნარმატივებმა შეცვალეს მოქალაქეთა სახის გამომეტყველება. ქვეყანამ გამოახსნა სწორი ალგორითმი. თითქოსდა, არაფერი უშლიდა მას ხელს, უარი ეთქვა თავის იდეალებზე და უბრალოდ მოეხდინა ინტეგრირება კაპიტალისტურ სამყაროსთან, როგორც ეს გავაკეთეთ ჩვენ ან აღამოსავლეთი ევროპის ქვეყნებმა. მაგრამ ეს არ მოხდა. ვიეტნამმა არ უღალატა მარქსიზმის სულისკვეთებას, ღირსეული პასუხი გასცა დროის გამოწვევას. მან შეისისხლხორცა ძველი აღმოსავლური ფილოსოფიისა და კულტურის სიბრძნე, დაუმატა მათ დასავლური ცივილიზაციის მიღწევები.

ასალი საზოგადოება

რუსეთისგან განსხვავებით, ვიეტნამში ჩამოყალიბდა ასალი ინტელექტუალური საზოგადოება. ეს მოხდა ეპოქაში, როდესაც კაპიტალიზმმა და სოციალიზმმა წარმოაჩინეს სერიოზული მანკიერებანი. ორივე სისტემის ღირსებათა შეფრთხილისა და მათი ნაკლოვანებების შეზღუდვის შესახებ არ სურს რაიმეს გაგონება არც მათ, ვინც მხარს უჭერს „ლიბერალურ ღირებულებებს“, არც მათ, ვინც მარქსისტული ორთოდოქსიის ტყვეობაში რჩება.

ვიეტნამში კი კონვერგენციას განიხილავენ ისეთივე მკაფიოდ, როგორც ჩინეთში. სოციალიზმისადმი ერთგულებით გამოირჩევიან, უწინარეს ყოვლისა, ისინი, ვინც ესმის გეგმიური მუშაობის ძალა. ვიეტნამის მთავრობა დაგეგმვისა და ინვესტიციების, ფინანსთა სამინისტროების, სახელმწიფო ბანკის მეშვეობით ახორციელებს საშუალოვადიან ხუთწლიან გეგმებსა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხანგრძლივ პროგრამებს. კაპიტალიზმი ვიეტნამში შლის ეკონომიკის აფრებს, ხოლო არსებული მაკროეკონომიკური ბერკეტები აფერხებენ ბაზრის ნეგატივებს.

ოდესღაც ვიეტნამელები გაკვეთილებს ჩვენგან იღებდნენ. ახლა კი დადგა ჩვენი რიგიც, ბევრი რამ გადმოვიღოთ მათგან. ვიეტნამის ხელმძღვანელობა ათვითცნობიერებს, რომ მოძრაობს დანის პირზე, ცდილობს, მოახდინოს ბალანსირება სოციალური სამართლიანობის შენარჩუნებასა და ეკონომიკური სამართლიანობის ეფექტიანობას შორის. ეს გზა, რასაკვირველია, შორსაა კეთილისმყოფელი იდილიისგან, რასაც ხალხის უმრავლესობა ათვითცნობიერებს კიდევ. ზოგჯერ გარდაუვალია შეცდომები, გადახრები. მიუხედავად ამისა, ქარავანი ნარმატივით მიდის წინ.

მომავალი განუჭკრეტელია. მხოლოდ ერთი რამეა ცხადი: ვიეტნამი — ეს არის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი და ჰარმონიული ქვეყანა.

გამოფენა

„ბურული მხედრების“ კვლადკვალ

ქირაბიძე, ლითონი, თაბაშირი — იმ მასალათა მცირედი ჩამონათვალა, რომელთაგან შექმნილი ქანდაკებები ახალგაზრდა ნიჭიერმა მოქანდაკემ ერეკლე წულაძემ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საგამოფენო დარბაზში მონაწილე პირველ პერსონალურ გამოფენაზე წარუდგინა საზოგადოებას.

სხვადასხვა ჟანრსა და ტექნიკით შესრულებულმა 130-მა ნამუშევარმა, მათ შორის ბრინჯაოს ქანდაკებებმა, თანამედროვე ტექნოლოგიებით შესრულებულმა დიზაინერულმა არტ-ობიექტებმა, დადგმული ქანდაკებებისა და განხორციელებული პროექტების ფოტოპანორამმა მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია და მონონება დაიმსახურა, რომელთა შორის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, საპატიო სტუმრები, საზოგადოების ცნობილი პირები იყვნენ.



ხელოვნებით ბავშვობიდანვე ვიყავი გატაცებული, ამიტომაც ნ. ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიაში განვაგრძე და ჩემი ნამუშევრების პირველი პერსონალური გამოფენა მას შემდეგ განვლილი ხუთი წლის ერთგვარი შემოქმებითი ანგარიშია, — თქვა ექსკლუზიური ინტერვიუში ახალგაზრდა მოქანდაკემ.

გამოფენის გახსნაზე ერეკლე წულაძის ქანდაკების „გურულები ამერიკაში“ პროექტის პრეზენტაცია და ირაკლი მახარაძის ფილმის „უაღდ ვესტის მხედრების“ ჩვენება გაიმართა, ასევე მოქანდაკის ახალი ვებ-გვერდის წარდგენაც. ცოტა ხანში ერეკლე წულაძე ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სახელოვნებო ორგანიზაციის მიწვევით ხანგრძლივ შემოქმედებით მივლინებაში მიემგზავრება და, ჩვენი მხრივ, წარმატებას ვუსურვებთ.

ნიმე ალექსანდრიძე, ელგუჯა ნაღარაიშვილის ფოტო



უღტიმატუმი


მმართველი გუნდი „ნაციონალურ მოძრაობას“ უღტიმატუმს უყენებს — საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებისთვის ქვეყნის 3/4-დან 2/3-მდე დაწვევის საკითხს დაუჭიროს მხარი, ან რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება.

For.ge-ს ინფორმაციით, აღნიშნული უღტიმატუმი „ქართული ოცნების“ ლიდერებმა ნაციონალურ პარლამენტში გამართულ დახურულ შეხვედრაზე წაუყენეს და მათ მოუწოდეს ოქტომბერში ცვლილებებს მხარი დაუჭიროს, წინააღმდეგ შემთხვევაში, კოპაბიტაცია 27 ოქტომბრამდე დასრულდება.

ფაქტია, რომ „ნაციონალური“ თავისთავად დაგეგმულ მხეში გაეზნენ, რადგან გასულ კვირას, უმცირესობამ უმრავლესობას მოუწოდა საკონსტიტუციო ქვეყნის დანების საკითხი 20 სექტემბრის პლენარული სხდომის დღის წესრიგში არ ჩაესვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ცვლილებებს ჩააგდებდნენ და მხარს აღარც მთავრობის უფლებამოსილების შემცირებას დაუჭერდნენ. თავის მხრივ, ოპოზიციის უღტიმატუმი კოალიციამ გაიზიარა და საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა, თუმცა, მათ ოპონენტებს თავადაც უღტიმატუმით უპასუხეს.

როგორც For.ge-ს კულუარულ საუბარში უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა განუცხადა, საკონსტიტუციო ქვეყნის შემცირების საკითხზე, პარლამენტის თავმჯდომარის სამუშაო კაბინეტში, პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართა, უმრავლესობამ უმცირესობას ცვლილებების მხარდაჭერა მოსთხოვა, ბოლოს კი, მხარეებს შორის შეთანხმება შედგება, რომ ვენციის კომისიის პოზიციის გაცნობამდე, ინიციატივა დღის წესრიგიდან დროებით მოიხსნებოდა, რაც ასეც მოხდა კიდევ.

უმრავლესობამ ნაციონალურ მოსთხოვა — ან ცვლილებებს დაუჭიროს მხარი, ან ვადამდე საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს და ხალხმა აირჩიოს — თუ ვინ სურს, იყოს პარლამენტში“, — განაცხადა მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა. თუ როგორ დასრულდება უღტიმატუმების ომი, ეს ცნობილი გახდება ოქტომბრის შუა რიცხვებში, მას შემდეგ, რაც 12 ოქტომბერს ვენციის კომისია საკონსტიტუციო ქვეყნის შემცირების თაობაზე საკუთარ



„ოცნება“ „ნაციონალურ“ პარლამენტს პარლამენტის დანიშნვით ემუქრება

პოზიციის დააფიქსირებს. თუმცა, საკონსტიტუციო ქვეყნის საკითხს პოლიტიკურ წრეებში ვენებათაღელვა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა უკვე მოჰყვა. კერძოდ, ცვლილებების მხარდაჭერას არც ბიზნესმენი დეპუტატები აპირებენ.

For.ge-ს ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინათ, უმცირესობის წევრ დავით ბუჯუაშვილსა და კახა ოქრიაშვილს შორის სატელეფონო საუბარი შედგა, სადაც ბუჯუაშვილმა PSP-ს დამფუძნებელს მოუწოდა ქვეყნის დანების საკითხს მისმა ფრაქციამ მხარი არ დაუჭიროს, რადგან მომავალში, საკონსტიტუციო ცვლილებების მხარდაჭერისთვის მათი „აქტივი“ გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერები უღტიმატუმის თაობაზე For.ge-ს ინფორმაციას არც უარყოფენ, არც ადასტურებენ და მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მონოლოგის შესახებ არაფერი სმენიათ.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის ირაკლი ჩიქოვანის მტკიცებით, მას უღტიმატუმზე არაფერი სმენია.

„ვენციის კომისიის ზუსტად წარვუდგინე მოსაზრებებს — თუ რაშია საქმე. საკონსტიტუციო ქვეყნის დანების თაობაზე გადაწყვეტილება კონსულტაციების შედეგად იქნება მიღებული.“

იმედი მაქვს, რომ კონკრეტულ ფორმულირებას მივაღწევთ“, — განუცხადა For.ge-ს ჩიქოვანმა, რომლის მსგავსად, აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას არ ფლობს ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე.

დეპუტატის შეფასებით, წლების განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით, ძირითადი კანონი დამახინჯდა და მოერგო პრეზიდენტს, შემდეგ კი, პრემიერ-მინისტრს.

„პაველი კუბლაშვილის განცხადებაზე მედიმბა, რადგან მან აღნიშნა, რომ პარლამენტის გააღვივებას მხარი დაუჭერენ. „ნაციონალური მოძრაობა“ ათი წლის განმავლობაში, საკანონმდებლო ორგანოს როლის დაკნინებაზე იყო ორიენტირებული და საინტერესოა, ახლა რატომ შეიცვალეს პოზიციები? თუ ქვეყნის 3/4-დან 2/3-მდე არ შემცირდება, ეს მომავალში ვაჭრობის საგანი გახდება. უმცირესობასთან ვაჭრობის არანაირი სურვილი არ მაქვს. ამასთან, ვენციის კომისიის რეკომენდაციაა, რომ ამ დონის ქვეყნის განვითარებად ქვეყნებში არ უნდა იყოს, რადგან კონსტიტუციის ჩასწორება რთულია. რაც შეეხება თქვენს ინფორმაციას, არ მსმენია, რომ ასეთი ტიპის უღტიმატუმები ყოფილიყო. ჩვენი მიზანია, ადამიანების გააღვივებულმა გონივრული განსჯის ფარგლებში მიიღონ და არა ხელების გადაგრესით“, —

განუცხადა For.ge-ს კობახიძე. უმრავლესობის მსგავსად, უმცირესობა უღტიმატუმის თაობაზე ჩვენს ინფორმაციას არ ადასტურებს და წყაროების გადამოწმებას გვირჩევს.

პაველი კუბლაშვილის განმარტებით, ვენციის კომისიის შეფასებაში ნათქვამია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მისაღებად ქვეყნის შემცირება უკან გადადგმული ნაბიჯია.

„რა თქმა უნდა, ცვლილებებს მხარს არ დაუჭერო, მაგრამ ჩვენი მიზანია, ყველა იმ ცვლილებას გამოვუცხადო მხარდაჭერა, რომელიც პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდისთვის იქნება გამინუსული. კომისიის შეფასებებს დაველოდებით, თუმცა, როგორც წესი, ასეთი შეფასებები არ იცვლება ხოლმე. რაც შეეხება თქვენს ინფორმაციას, ეს უაზრო ჭორებია და წყაროების გადამოწმებას გირჩევთ“, — განუცხადა For.ge-ს კუბლაშვილმა, რომლის პათოსსაც გიგი წერეთელიც იზიარებს.

კანონმდებლის განცხადებით, საკითხზე „ნაციონალური მოძრაობა“ პოზიციას არ შეცვლის.

„თქვენს ინფორმაციას ვერ ვადასტურებ. არ მგონია, რომ ასეთ უღტიმატუმს მომწიფებული პოლიტიკოსი აყენებდეს. ასე საკითხის დაყენება არაღივიტიმურია, რადგან არ შეიძლება, ვადამდე არჩევნები ამა თუ იმ საკითხს მიიბა. რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას თავისი პროცედურა აქვს. რაც შეეხება საკონსტიტუციო ქვეყნის საკითხს, ეს ნორმა საპარლამენტო დემოკრატიის გააღვივებისთვის შემოვიღეთ“, — განუცხადა For.ge-ს წერეთელმა.

შემახსინებთ, რომ ხელისუფლება კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის 3/4-იან კვორუმს აუქმებს. კერძოდ, საუბარია წინა მოწვევის პარლამენტის მიერ მიღებულ კონსტიტუციურ ნორმაზე, რომელიც ძალაში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შედის. ამ ცვლილების თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულადა ჩაითვლება, თუ მას პარლამენტი ორ თანამიმდევრულ სესიაზე, სულ ცოტა სამი თვის ინტერვალში მხარს დაუჭერს და მიღების სრული შეიძლება 3/4-ით, ანუ საუბარია 1/3 ხმაზე. ასევე რთულდება და იზრდება ქვეყნის, რომელიც პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის სტირდება.

თეონა მანაბაძე

დედაიწის ზურგზე



„მოფილო, ნუ წახვალ ბორდელში“, პარტიის მოღონი კვირულა „მისტრამისტიგმა“ სპანდალი მოხვედრის

მოფილის სახლის „ნინა რიჩის“ ახალი კოლექციის დემონსტრაციის დროს მოძრაობა „ფემინის“ ნახევრადში შევლი აქტივისტები გამოცვიდნენ პოდიუმზე სხეულზე წარწერებით: „მოფილო, ნუ წახვალ ბორდელში“, თან გაიძახდნენ შესაბამის ლოზუნგებს. შედეგად სექიურიტივმა გადაუტარეს ხელები ფემინისტებს და უხეშად ჩამოეყარეს ისინი სცენიდან.

ინფორმაციის გამოცხადება სუბსარტულიანი სხსლი: ათუბით ადამიანი ნაზრამივამ ადმონრდა



ინციდენტი მუშაობაში დილით ადრე მოხდა, როდესაც მრავალბინიანი სახლი ხალხს ისევე ეჩინა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებოდა ოთხი დაჭრილის შესახებ, მაგრამ ნანგრევებში შეიძლება დარჩენილი იყოს სამოცამდე კაცი. მაშველებმა იქიდან სულ ცოტა 13 კაცი გამოიყვანეს.

ტილიანდმა კონსტრუქციის დამოუკიდებლობა აღიარა



კოსოვოს სუვერენიტეტის ეს შესაბამე აღიარება უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში. წინა დღით კოსოვოს დამოუკიდებლობისთვის მხარდაჭერის შესახებ კოსოვოს საგარეო საქმეთა მინისტრს ვენერ სოჯაის ინფორმაცია მიიწოდეს ლიბიისა და გრენადის ხელისუფლებათა წარმომადგენლებმა. პრეზიდენტის მონაცემებით, ტილიანდი გაეროს 104-ე წევრი ქვეყანაა, რომელმაც აღიარა კოსოვო.

გამაროს შტაბ-ბინაში გამომართა „დიდი ექსპლუზი“ სპარტო სპარტო მიწისტრამის „საფუძვლიანი“ შეხვედრა ორბანო კოლმბასთან ირანი და საერთაშორისო შუამავლები მივიდნენ ერთიან აზრამდე, რომ აუცილებელია მიღწეულ იქნეს კონკრეტული შეთანხმება თეირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით „ერთი წლის განმავლობაში“, განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელმა. მოლაპარაკების ძირითადი შედეგი უნდა გახდეს სანქციის სრული გაუქმება. ახალი შეხვედრა გამომართა ვენეციაში 15-16 ოქტომბერს.



ბრიტანეთი კლასტიკური ფულის გამოშვებას გეგმავს

ინგლისის ბანკი საჯარო კონსულტაციას ავრცელებს პლასტიკური ფულის შესახებ, რომელსაც, სავარაუდოდ, 2016 წელს გამოშვებენ.

ოცდაათი ქვეყანა მსოფლიოს მასშტაბით, უკვე იყენებს პოლიმერულ ბანკნოტებს, მათ შორის, ავსტრალიაც, სადაც ქალაქის ფულის გამოყენება 1996 წელს შეწყვიტეს.

ავსტრალიური ხუთდოლარიანი სამ წელს ძლებს, მაშინ, როცა ინგლისური ბრუნვაში მსოფლიო ექვსი თვე ტრიალებს.

ბრიტანული გამოცემა The Telegraph-ის ბიზნესრედაქტორმა ენდრიუ ქრიჩლოუმ პლასტიკური, ავსტრალიური ფულის გამოქვეყნება შეამოწმა და ქალაქის ფულს შეაფასა. მაშინ, როცა დაჭმუჭნული ან წყალში მოხვედრილი ქალაქის ფულის გამოყენება შეუძლებელია, პლასტიკური ფულს წყალი, ღვინო, ჩაი ვერაფერს აკლებს.



მილიარდები საშუალო განათლების ბარჯზე

მილიარდები უმაღლესი განათლების ბარჯზე, იშვიათობა არ არის, მაგალითად ბილ გეიტსი, სტივ ჯობსი, მარკ ცუკერბერგი — ყველა მათგანმა სწავლა ბიზნესის გამო მიატოვა. მაგრამ, დღევანდელ მილიარდერების სიაში, არიან ისეთებიც, რომლებსაც საშუალო სკოლაც კი არ დაუმთავრებიათ. წარმოგიდგინებ რამდენიმე მათგანს:

ამანსიო ორტიზა, Inditex კომპანიის დამაარსებელი. მისი ქონება 57 მლრდ. დოლარია.

ესპანელი ბიზნესმენი ამანსიო ორტიზა Forbes-ის მიხედვით პლანეტის უმდიდრესი ადამიანების სიაში მესამეა. ბრენდების Zara, Massimo Dutti, Oysho დღევანდელმა მეპატრონემ სწავლას 13 წლის ასაკში დაანება თავი.

ლი კანგონგი, Cheung Kong Group-ის ხელმძღვანელი. მისი ქონება შეადგენს 31 მლრდ. დოლარს. Forbes-ის მიხედვით ის მილიარდერთა შორის მე-8 ადგილზეა. აზიის ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადა-

მიანმა სიდუხჭირის გამო 14 წლის ასაკში დაანება თავი სწავლას.

ფრანსუა პინო, Kering კომპანიის ხელმძღვანელი. მილიარდერთა სიაში 15 მილიარდი დოლარით 53 ადგილზეა. ერთხელ პინომ განაცხადა, რომ ერთადერთი საბუთი სწავლის შესახებ, მისი მართვის მოწმობაა.

რიჩარდ ბრინსლი, Virgin Group კორპორაციის მეპატრონე, მისი ქონება შეადგენს 4,6 მლრდ. დოლარს და ის რეიტინგში 272 ადგილზეა. ბრინსონი სკოლიდან 16 წლის ასაკში გამოავდეს, მას დარღვეული ჰქონდა კითხვის უნარი.

ჯო ლუისი, Tavistock Group-ის დამაარსებელი. მისი ქონება 4,2 მლრდ. დოლარია, Forbes-ის მილიარდერების სიაში ის 308 ადგილზეა. ბრიტანელი მილიარდერის მამა პატარა პაბის მეპატრონე იყო. 15 წლის ასაკში მან თავი დაანება სწავლას და მიმტანის სამოსი ჩაიცვა.

რამდენიმე დღის წინათ ახლობლის ოჯახში უფროს მეგობარს, ცნობილ არქიტექტორს გივი გაბუნიას შევხვდი. მაღლივი კორპუსის ბინიდან დედაქალაქის თვალწარმატებით ხედავდა, თუმცა სეზონების ნაკლებობა აშკარად თვალში საცემი იყო. ბუნებრივია, ეს გულდასაწყვეტი გარემოება მაშინვე ორივემ ერთხმად აღვნიშნეთ, ისიც ვთქვით, რომ არათუ ახალშენებში ნაკლებად ზრუნავენ გამწვანებაზე, ძველ უბნებშიც კი ათწლეულების გაშენებული პარკები და სკვერები უმოწყალოდ იჩენება მავანთა მერკანტილური ინტერესების გამო, ნერგებს კი ვინმე თურგავს მასობრივად, ისიც კანტიკუნტად, ძირითადად — გარეუბნებში.

— მერე განა მარტო მწვანე ნარგავებზეა საქმე? აგერ ყოფილი იმპერატორის ტერიტორიას გადახედეთ, სადაც ნარგავებს მარტო უმოწყალოდ კი არ ჩეხავენ, ცეცხლსაც უკიდებენ... ახლა ვაკის პარკი ნახეთ და თავადაც დარწმუნდებით, რომ ის, რასაც იქ ნახავთ, საცხებით ასახავს ქვეყნის მდგომარეობას, — გულდასაწყვეტით მიიხრა კაცმა, რომელსაც საზღვარგარეთაც ბევრი აქვს ნამუშევარი და მსოფლიოს უდიდესი და ულამაზესი ქალაქების ურბანისტული და გამწვანების საკითხებზე ზედმინუვნი იცის. — იქნებ ვინმე აუხსნას საზოგადოებას, რატომ უნდა იყოს თბილისში ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით ხუთჯერ უფრო ნაკლები გამწვანება, ვიდრე, ვთქვათ, მოსკოვში, ჩრდილოეთის ამ უზარმაზარ მეგაპოლისშია, კიევსა და ლოს-ანჯელესზე აღარაფერი რომ არ ვთქვათ? იგივე ვაკის პარკი რომ ავიღოთ, რომელიც თბილისის ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლიელი სარეკრეაციო ზონებიდან ერთ-ერთი ბოლო ფორპოსტია, თითქოს საგანგებოდ ნადგურდება. რა სიბინძურე გინდა აქ რომ არ იყოს — ნაგავსაყრელები, დანგრეული შენობები, ლითონის დაჟანგული კონსტრუქციები, დაშლილ-გაპარტახებული ძველი გასართობი ატრაქციონები... სამაგიეროდ აქაა მერიის დაცვის პოლიციის სამი საგუშაგო გაურკვეველი ფუნქციის მქონე ათობით თანამშრომლით.


არადა, ვაკის პარკის შევინარებთ-გაპარტახება გუშინ და დღეს კი არა, დიდი ხნის წინათაა დაწყებული. პარკის ზედა ნაწილის მიმდებარედ ზოგიერთი მცხოვრებელიც მის საზღვრებში თანდათანობით იჭრება და შემდგომ უკანა რიცხვით ისაკუთრებს. ადრე საზოგადოებრივი ტუალეტის ადგილზე ჯერ ლუდის რესტორანი ააშენეს, რომელიც ნარნარად რესტორანმა „სენატმა“ ჩაანაცვლა, რომელმაც უსაშველო გაფართოება დაიწყო, რის შემდეგ ვაკის პარკი მიმდებარე განაშენიანებას ვიზუალურად მოწყვიტა. მის გაყოლებაზე, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში აგებული მაღალი შენობა, რომელსაც „ვისოლის“ წარწერა ამშვენებს, მერე სამსართულიანი უსახური სახლი და... ყრუკედლიანი საწყობი მიუდგეს. უფრო სიღრმეში კი, გამწვანებულ ზოლში, ერთ მშვენიერ დღეს თავი ეგარეთ წოდებულმა „მედიათეკამ“ ამოყო — გამჭვირვებულ და უკაცრიელმა. სამხრეთ-დასავლეთიდან კი ვაკის პარკს უკრაინისა და ირანის საელჩოებმა შეუტიეს და მსუყვე-მსუყვე მიწის ნაკვეთებიც „აახიეს“. მათ შუაში კი მავანთა მიერ „გაჩაღიჩებული“ კერძო სახლებმა მოიკიდეს ფეხი და ისედაც შაგრენის ტყავივით დაპატარავებული ვაკის პარკის 30 ჰექტარი ფართიდან დღესდღეობით ნახევარი თუა დარჩენილი...

ასეთია, ბატონო, ქალაქის ძველი თუ ახალი ხელმძღვანელების ხედვა და რა ვქნათ, რომ იგი სრულიად არ ემთხვევა, ვთქვათ, მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეგაპოლისის ნიუ-იორკის მესვეურთა ხედვას, რომლებმაც ქალაქის შუაგულში, საქვეყნოდ ცნობილ „სენტრალ პარკში“ არა თუ შენობები, დასაჯდომი სკამებიც კი არ დადგეს — ბუნებას არ უხდებო! — თუმცა კი, მისი ფართობი ათჯერ მაინც აღემატება ჩვენი გაუბედურებული ვაკის პარკის ტერიტორიას! თანაც ეს მაშინ, როცა „სენტრალ პარკში“ კვადრატული მეტრი ფართი ასიათასობით დოლარი ღირს, ვაკის პარკს კი კულტურული ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული და სათანადო კანონმდებლობითაც დაცული ტერიტორიაა, მაგრამ...

— მერედა ვაკის პარკი განა თბილისში ერთადერთი ად-



ყოფილი რესტორნის ნანგრევები ვაკის პარკში



დაუმთავრებელი მშენებლობა „ლიბერთი ბანკთან“ („აშირაზიუმი“ შენობა).

ყვავი რომ არ აკულბულდეს...

ანუ მოხება მოხებად რომ არ დარჩეს

გილია, რომელსაც მუნიციპალური ჩინოსნები ასე უდიფრად ეგვრობიან?

— სამწუხაროდ არა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ იქ, სხვას თავი რომ დავანებოთ, საზოგადოებრივი ტუალეტებიც კი არ არის, არადა რამდენიმე წლის წინათ სინგაპურში ყველა დიდი ქალაქისთვის ამ მეტად საჭირობო სასაბუნების საკითხზე... საერთაშორისო სიმპოზიუმშიც კი გაიმართა (!!!).

ვაკის პარკიდან კი კაცს შორს წასვლაც არ გინდა — მის მახლობლად, ფალიაშვილის ქუჩის ბოლოში, ძველი შენობის რეკონსტრუქცია დაიწყეს, სადაც თითქოს თანამედროვე სასაბუნების „ოქროს ტიტა“ უნდა განთავსებულიყო, მაგრამ რახანია იქ მხოლოდ მოფაფალებული გარე კედლები და დარჩენილი, რომლებიც ნებისმიერი ძლიერი ბიძგისგან შეიძლება ჩამოინგრეს. ასევეა ჭავჭავაძის პროსპექტზე, „ლიბერთი ბანკის“ გვერდით „აყირავებული“ შენობა, მის მოპირდაპირედ დიდი ხნის წინათ ორმოცსართულიანი სახლის დაწყებული და დაუმთავრებელი კარკასი, რომელიც ცნობილი არქიტექტორის კალატრაკას საქვეყნოდ განთქმული „სახლ-სპირალს“ უნდა შეაქვეყნოდა. მსგავსი მაგალითი ქალაქში ბევრია, მათ გინდა საბოტაჟი დაავარქვათ, გინდა „დაუმთავრებლობის სინდრომი“.

ყოველივე ეს კი, ჩემი აზრით, ჩვენი კულტურული ღონის ერთგვარი ილუსტრაციაა არის. ახლა ბევრს ლაპარაკობენ ეკონომიკურ კრიზისზე, ხოლო კულტურულ კრიზისს, რომელშიც ჩვენი საზოგადოება იმყოფება, იშვიათად ვინმე თუ ახსენებს. უბედურება ისიცაა, რომ ეს ეხება არა მარტო კულტურას, არამედ ელემენტარულ ყოველდღიურ ყოფასაც.

— მოდი, ცოტა უკანაც მივიხედოთ: ფაქტია, რომ ბევრი რამ, რაზეც ამჟამად გული შეგვტკივა, ბოლო ათწლეულის მანძილზე კი არა, უფრო ადრეც დაიწყო ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძალა რომ გამოჩნდა, მასსოვს, ერთ-ერთი პირველთაგანი იყავით, ვინც „ქართულ ოცნებაში“ შევიდა, მისი დამფუძნებელი ყრილობის დეფიგატიც ბრძანდებოდათ. ხომ არ ნანობთ მაშინდელ არჩევანს?

— სახელწოდების გამო არ გავწევრებულვარ. ზიგმუნდ ფროიდის განმარტებით, ოცნება — სურვილის ილუზორული შესრულებაა, მე კი მჯერა, რომ კონკრეტული სასიკეთო შედეგი იქნება. „ქართული ოცნება“ გარკვეულ ასოციაციას წარმოშობს „ამერიკულ ოცნებასთან“, რადგან სიტყვების ასეთი შეხამება სხვა ქვეყნებში ძნელად მოიძებნება: იქ ეს გამოთქმა გასული საუკუნის 30-იან წლებში, ეკონომიკური დეპრესიის დროს პატრიოტული ტალღის აღზევების პირობებში წარმოიშვა და საზოგადოების კონსოლიდაციაში უაღრესად დადებითი როლი შეასრულა. ჩვენს პირობებში კი, ოცნება ოცნებად რომ არ დარჩეს, ცვლილებები, ალბათ, ჩვენივე თავიდან უნდა დავიწყოთ, რაც, თავისთავად, რეალურ ცხოვრებასაც შეცვლის. სახელმწიფოებრივი და პირადული ინტერესების სიმბიოზი ვერასდროს შედგება, საზოგადოება კვლავაც

კვაჭი კვაჭანტირაძის ლოზუნგით თუ იხელმძღვანელებს: „მე, ისევე მე, მხოლოდ მე, ჩემი, ჩემთვის, ჩემზე“.

— თქვენ საკმაოდ დიდხანს მუშაობდით ბატონ ბიძინა ივანიშვილის კუთვნილ „ქართუ მენეჯმენტში“, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ იმ დროსა და პირადად მასზე?

— იმ სტრუქტურაში, ასე ვთქვათ, რიგითი ჯარისკაცი, პროექტის მთავარი არქიტექტორი ვიყავი, ამდენად პირადად ბატონ ბიძინას მხოლოდ ერთხელ შევხვდი, ურეკში ერთ-ერთი ობიექტის მშენებლობისას. იგი უთუოდ საინტერესო და რთული პიროვნებაა, ბუნებით ლიდერი, რაც მის სკოლისდროინდელ ფოტოებზეც ჩანს. ამავე დროს, რომელ სფეროშიც გნებავთ მაღალი დონის მიღწეულ ყველა ადამიანს, მათ შორის, როგორც ჩანს, ბატონ ბიძინასაც, გარკვეულწილად, ყოვლისმომცველი ცოდნისა და თავისი უტყუარობის განცდა უჩნდება. იერარქიის ქვედა დონეზე ასეთი მიდგომა, ზოგჯერ, შედარსებად, ბევრად დილექტანტს პროფესიონალზე უფრო მაღლა აყენებს. ბატონ ბიძინას აქვს ადამიანთა შეცნობის შინაგანი გუშანი, თუმცა კი, მისი სიმპათიების თუ ანტიპათიების წარმოშობა ხშირად ძნელი დასადგენია.

ბატონ ბიძინას არქიტექტურა ინტერესებს, მისი საკუთარი ხედვა აქვს, რის გამოც, როგორც ჩანს, არქიტექტორების დენადობა „ქართუ მენეჯმენტში“ ძალიან დიდი იყო. მეტიც: გარკვეული სუბიექტივიზმი თავად „ქართული ოცნების“ წესდებაშიცაა ჩადებული, რომლის თანახმად განეწვებაზე უარის თქმა მსურველისთვის რაიმე ახსნა-განმარტების მიცემას არ ითვალისწინებს.

დღესდღეობით საზოგადოებაში მრავალი კითხვაა დაგროვილი, რომლებსაც, იმედია, პასუხი უახლოეს დროში გაცემთ. აი, მაშინ გამომჩნდება საბოლოო ჩანაფიქრი. ბევრისგან განსხვავებით, ბატონ ბიძინას, ჭადრაკის გროსმაისტერივით, მრავალსწლიანი კომპინიციების გათვლისა და განხორციელების უნარი შესწევს, ამიტომაც ხშირად, რაც ჩვენ ენდშილი გვეკონია, შესაძლოა, მიტელშილი, ან, სულაც, დებიუტი იყოს.

— დედაქალაქის ურბანული გასაჭირიდან თითქოს შეუმჩნევლად საუბარი ერთგვარ პოლიტიკურ ტრილში გადავივიდა. ამას, ასე ვთქვათ, ჩამოყალიბებული სახე რომ მივცეთ, მით უმეტეს კარს მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნების წინ, რას იტყვით კანდიდატების თაობაზე, ზოგადად ქვეყნის პოლიტიკურ აწმყოსა თუ მომავალზე?

— პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს ნამდვილად არ შეეძლება, მაგრამ ზოგიერთი მათგანის საკუთარი შესაძლებლობების შეფასების, უფრო სწორად კი მათი უზომოდ გაზვიადების უნარი ნამდვილად მათაც კი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მათ, უბრალოდ, პოლიტიკურ ავანსცენაზე თუნდაც ცოტა ხნით ყოფნის სურვილი სძლევთ, რომელიც იმდენად დიდაა, რომ საკუთარი გარდუვალი სამარცხვინო ფიასკოც მომავალ სირცხვილსაც აღემატება. ვაჟა-ფშაველას შემთხვევით როდი აქვს ნათქვამი, რომ საქართველოში ხშირად „...ყვავები ბუღბუღობენ“.

სამწუხაროდ, საქართველოს პოლიტიკურ კაბადონზე მრავალი შემთხვევითი „ვარსკვლავია“, რომლებსაც ვურჩევდი, ნუ ცდილობენ მზის ჩრდილოეთიდან, ან დასავლეთიდან ამოყვანას, ქვეყანას ნუ განიხილავენ როგორც მიმზიდველ, მაგრამ ზარმაც და უმწეო ქალბატონს, რომელიც მუდამ ძლიერი და შეძლებული მფარველის ძიებაშია, ნუ იტყვიან და ნუ გააკეთებენ იმას, რაც მათ სიჩუმესა და უმოქმედობაზე სასარგებლო არ იქნება, ნუ გააზვიადებენ ქვეყნისთვის საკუთარი პერსონის მნიშვნელობას.

საწყენად ნუ მიიღებთ, მაგრამ მასმედიის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით კი ტელეჟურნალისტებს შევახსენებ, რომ პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოსნების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ადვოკატების გარდა, ქვეყანაში სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პროფესიის უამრავი საინტერესო ადამიანიც არსებობს.

საუბარს უძღვებოდა ოთარ ტურაბაილიძე გივი გაბუნიას ფოტო



ატრაქციონის ნანგრევები

განსჯა

ლუკა კურტიანიძე: ნაკრების სამზადისში მეც ჩავერთვები

საბჭოთა დროს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდებოდა ნაკრების სამზადისში მონაწილეობა...



„მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მიერ საერთო გუნდურ ჩათვლაში მოპოვებულ ბრინჯაოს მედალს ზოგიერთი წარმატებული შედეგად მიიჩნევს. ვერაფრით დავეთანხმები ამ ხალხს. 91 ქვეყნის ნაკრებს შორის მესამე შედეგის ჩვენება და შევიდეთ წონით კატეგორიაში ჩასათვლელი ქულის აღება ურიგო შედეგი მართლაც არაა, ოღონდ არაა საქართველოს ნაკრებისთვის, რომელსაც ჭიდაობაში გაცილებით დიდი ამბიცია აქვს.“

გულდაწყვეტილი გულშემატკვრების კრიტიკის კარგად მესმის და თავს მოვალედ ვთვლი, მიმდინარე პროცესში უფრო აქტიურად ჩავერთო. უშუალოდ სპორტმენების მიმართ არანაირი პრეტენზია არ მაქვს. მათ რაც შეეძლოთ, ყველაფერი გაიღეს. პრობლემა გუნდის მობილიზებასა და საერთო დისციპლინაში უფრო უნდა ვეფიქროს. აქამდე ნაკრების სამზადისში, მწვრთნელთა კომპლექსივით არ ვერეოდი, მაგრამ ამის აუცილებლობა გა-

მოჩნდა. ბევრი რამის შეცვლა საჭირო და ვეცდები პროცესში უფრო აქტიურად ჩავერთო. ჩემი გამოცდილებით ნამდვილად მეტი სარგებლის მოტანა შეიძლება საერთო საქმისთვის.

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების განმარტებულ 4 მედალს ველოდი და საბოლოო შედეგით, ცხადია, უკმაყოფილო ვარ. ბერძენ-რომაელებთან კი არავითარი პრეტენზია არ მაქვს.

შვიდი წონითი კატეგორიიდან ექვსში დებიუტანტს მოუწია ხალიჩაზე გასვლა და ვფიქრობ, უდიდესი გამოცდილება მიიღეს. რაც შეეხება გუნდის ერთადერთ გამოცდილ წევრს რევაზ ლაშხს, წონის პრობლემა აწუხებს და მომავალში აუცილებლად შეიცვლის წონით კატეგორიას.

მოგესხენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე დასაყენებელი შემადგენლობები საქართველოს თასის შედეგებით დაკომპლექტდა. ეს გადაწყვეტილება შედეგს სამომავლოდ აუცილებლად მოიტანს. წინ საქართველოს ჩემპიონატია, რომელზეც კარგად ნახავთ, როგორ გაიზრდება შიდა კონკურენცია. აღარავის ექნება ამბიცია, რომ ნაკრებში ვერავინ ჩაანაცვლებს. დარწმუნებული ვარ, 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის უძლიერესი შემადგენლობები გვეყოლება.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს, 15 ნოემბერს მწვრთნელებთან ერთად დავსხდებით, ვისაუბრებთ

კალათხორთი

გიორგი გამყრელიძე „დინამოში“ ითამაშებს

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა წარუდგინა ცვლილებები. განხორციელდება შიდა გადაადგილებები და მთავარ მწვრთნელებს ნდობის გრძელვადიანი მანდატი მიეცემა...



სუპერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კალათხორთელი, გამამაშებელი გიორგი (ლუკა) გამყრელიძე (04.02.86, 185 სმ, 78 კგ) თბილისის „დინამოში“ ჩაირიცხა. ამის შესახებ თავად გამყრელიძემ განაცხადა.

გული ისეთი რაბა

ტრინიდადის ფეხბურთელმა უნბრაიში ინფრასტი მილო ტრინიდადიმ და ტობაგოს ეროვნული ნაკრებისა და უნგრული „ფენერცეაროზის“ მცველი აკიმ ადამისი საავადმყოფოშია და კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება.




B92-ის ცნობით, 22 წლის ფეხბურთელს „უიპეტთან“ მიმდინარე მატჩის დროს ინფარქტი პირდაპირ მოედანზე დაემართა, რის შედეგადაც ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინტერნეტიდან

ფელეტონები კრისტიან ვიერი

მეტირანი იტალიელი ფეხბურთელი კრისტიან ვიერი, საკუთარმა ცხოვრების წესმა მწვრთნელის მუზად აქცია. როგორც იცით, ეს მსხვერპლი, თავისი ცხოვრების მანძილზე, არაერთი ქალის გულთამბურთელი იყო და მისი ეს გატაცება იტალიური ჟურნალის „სინიორეს“ ფელეტონების თემა იქცა.



შემოსხმებული ყოველთვიური ქალთა ჟურნალი „ბობოზე“ ირონიულ პასკვილებს აქამდეც ხშირად აქვეყნებდა, მაგრამ ამჯერად ვიერი უკვე მუდმივი რუბრიკის მთავარი თემა გახდა. ჟურნალისტი ელზა კორეა კრისტიანის შესახებ ერთმანეთზე მჭკვეარე ტექსტებს წერს.

„მის დაკუნთულ, ნავარჯიშებულ სხეულზე, მართალია, დიდი და უხეში თავია მიბმული, მაგრამ ეს „ბობოს“ ხელს არ უშლის ზღვის ტალღასავით გადაელოს სასურველ ქალბატონს და მის ცხოვრებაში ისეთივე კვალი დატოვოს, როგორც ვეზუვი დაუტოვა პომპეის“, - ვკითხულობთ ქალბატონი ელზას ნაღვანში...

ვითარება

ფეხბურთი და... მართლმსაჯულება

ბრაზილიის ამპონასის შტატის მთავარმა მოსამართლემ გაიხად გასამართლი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამ სპორტული ფორუმის ერთ-ერთი მასპინძელი სტადიონის... ციხედ გადაკეთების წინადადება წამოაყენა.



ლათასიანი საპროტესტო გამოსვლების შემდეგ, მთავრობას ამომრჩეველთა სიყვარულს დაუბრუნებს. მანამდე კი ბრაზილიელები, ფეხბურთისადმი უსაზღვრო სიყვარულის მიუხედავად, სოციალური უზრუნველყოფის სფეროს საზიანოდ საბიუჯეტო სახსრებით სპორტული ობიექტების მშენებლობის წინააღმდეგ გამოდიან.

სუფლება ობიექტის არასტანდარტულად გამოყენებას აპირებს. ჩანაფიქრით, სტადიონ-ციხეს შუალედურ პუნქტად გამოიყენებენ, საიდანაც მსჯავრდებულებს სასჯელის მოსახდელად სხვა ადგილებში გადაზავნიან. ამით ბრაზილიელებმა ამერიკული ლეიკემიის მკვლელობის მთავრობის მიზანმიმართულად დაგეგმილ პროტესტს მხარი დაუჭირეს. მთავრობის გადაწყვეტილებამ ფიფას მიერ მოთხოვნილი რვის მაგივრად თორმეტი სტადიონი აეგო, თუმცა კი ხელისუფლებამ ეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სურვილით ახსნა.

ახალი პენიტენციური დაწესებულების აშენება 31 მილიონი დოლარი ჯდება, სხვა მიზნებისთვის აგებული ობიექტის ციხედ გადაკეთებაც ბევრად ნაკლები არ ელირება, რადგან გასათვალისწინებელია ახალი ინფრასტრუქტურისა და დაცვის სისტემის შექმნის აუცილებლობა.

პენიტენციურ გამოკვლევებში საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით, ბრაზილიის ციხეებში დღესდღეობით 418 ათასი მსჯავრდებული იხდის სასჯელს, ციხეები კი 318 ათას პატიმარზეა გათვლილი. ამის შედეგად ისინი ადმინისტრაციებთან გამუდმებულ კონფლიქტში არიან - ბოლო ასეთი შემთხვევა აგვისტოში მოხდა, როცა სან-პაულუს ციხიდან 54 არასრულწლოვანი დაშინავე გაიქცა და თან 29 ციხის ზედამხედველიც მძევლად წაიყვანა.

ირაბ ირეაშვილი

◎ ყოფა

გამოსახლების ბარათის მირომეპა... პანაშვილი

ბაბუშში, გაურკვეველი და ჯერ-ჯერობით გამოძიებისათვის უცნობ ვითარებაში მოკვლის 17 წლის მარია ქორალაძის ცხედარს შსს-ს საგანგებო სიტუაციითა და ოპერატიული სამსახურების თანამშრომლებმა რამდენიმე დღის შემდეგ მიაგნეს.

გასვენების წინა დღეს, ბოლო პანაშვილზე, გარდაცვლილის ოჯახმა სააღასრულებო ბიუროდან წერილი მივიღეთ, სადაც გვატყობინებდნენ, რომ ბინა სასწრაფოდ უნდა დაგვეცალა, აცხადებს მოკვლის დედა ანა ანა ბერიძე.

ოჯახი, ბათუმში ჯავახიშვილის 72-ში კარგა ხანია ცხოვრობს. ქ-ნი ყუყუნი ამევე მისამართზეც მუშაობს. ეს არის მათი დროებითი საცხოვრებელი, რადგანაც კუთვნილი ბინა რამდენიმე წლის წინათ იპოთეკით დატვირთეს და კრედიტი გამოიჭინეს. მაგრამ, როგორც ეს საქართველოში მიღებული „წესი“ ბანკის მტაცებლური პროცენტების გადახდა

ოჯახმა ვერ შეძლო და საბოლოოდ მათ ბინა გაუყიდეს. ისინი ჯავახიშვილის ქუჩაზე შეასახლეს.

როგორც განსვენებულის დედა ამბობს, მან ადგილობრივ ხელისუფლებას თხოვნით მიმართა დროებითი ფართი შელავათიან ფასებში მიეყიდათ მისთვის. სიტყვიერი პირობით დაიმდებულმა ან ბერიძემ საცხოვრებელს შესაძლებლობების ფარგლებში რემონტიც გაუკეთა. თუმცა დრო გადიოდა და დროებითის საკუთრებაში დაკანონების საკითხი ადგილიდან არ იძვროდა.

და აი, მოხდა ტრაგედია. მოკვლილია 17 წლის გოგო და ზუსტად გასვენების წინა დღეს ანა ბერიძეს მოსდის გამაფრთხილებელი ბარათი ბინის საჩქაროდ დატოვების თაობაზე. თუმცა, ეს არ იკმარეს და რამდენიმე დღის წინათ უფრო მკაცრი შინაარსის ბარათი გამოუგზავნეს ოჯახს. „რა ვქნა, ალბათ გამოამსახლებენ, წასასვლელი კი არსად მაქვს – ცრემლებს ვერ იკავებს

შვილმოკვლილი დედა. მისი განმარტებით ვისთვის არ უთხოვია დახმარება – აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობისათვის, ბათუმის მერიისათვის (თითოეული თვის რამდენჯერმე), ბოლოს საპატრიარქოსთვისაც მიუბარათა. თუმცა შედეგი არ ჩანს.

ბერიძე მისი გამოსახლების ასეთი დაჩქარებული წესით მოთხოვნას არ უკავშირებს თავის პროტესტს გამოძიებისადმი, რომელიც თითქმის არ დაძრულა ადგილიდან. ბათუმელები მომხდართი აღშფოთებულნი არიან.

ნათელა შაიშველაშვილი (ბათუმის მკვიდრი, დასახლისი): „რა ხალხია, საიდან მოვიდნენ, მოკვლილი ანგელოზივით ბავშვი დედას წინ ეწვა და ოჯახს თავზე დაადგინენ, ბინა დაცალეთო, იმავით მოთხოვნით მეორეჯერაც მივიდნენ, მარიაშის გარდაცვალებიდან 40 დღეც არ იყო გასული. ნუთუ სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობით“ დააპირეს საქმიანობის გაგრძელება? თუ ასეა, ამ ხელისუფლებასც ისეთი პოლიტიკურ მოუხსევნებელი გავუშვებო, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება გავუშვით. საქართველოს მოსახლეობა ის აღარაა, რაც თუნდაც 3 წლის წინათ იყო. საზოგადოება გამოცოცხლდა, გამოფხიზლდა!

ზაზა ბილისოძე

◎ თქვენთვის, გურმანო

გუფთები პამიდორის სოუსში ქონდრით

- საჭირო მასალა**
- 200 გ. გატარებული საქონლის ხორცი;
 - 200 გ. გატარებული ქათმის ხორცი;
 - 100 გ. გატარებული ღორის ხორცი;
 - 1 მორდილი ნაჭერი თეთრი პური;
 - 1 ჩ.კ. მდოგვი;
 - 1 ს.კ. გახეხილი ყველი;
 - 2 კბილი დანაყილი ნიორი;

- 1 მორდილი კვერცხი;
- ძირა;
- მარილი;
- პილპილი;
- ზეთი – შესაწვავად.
- სოუსისთვის**
- 1 კგ. დაჭყლეტილი პამიდორი;
- 6 კბილი ნიორი;
- თითო კონა ქინძი და ქონდარი;
- მარილი;
- წინაკა.



მომზადება

პური წყალში დავალბოთ და გავწუროთ. აგურიოთ ხორცის ფარში, ყველი, კვერცხი, სანებლები, მდოგვი, ხახვი, ნიორი და გავაკეთოთ პატარა ბურთულა. ღრმა ტაფაში გავაცხელოთ ბლომად ზეთი, ბურთულები ამოვავლოთ საფანელში ან მანანის ბურღულში და შევწვათ.

სოუსის ინგრედიენტები აგურიოთ ერთმანეთში და ავადულოთ, სანამ არ შესქელდება. ხორცის ბურთულები მოვათავსოთ სოუსში და მოვრთოთ ქონდრის ტოტებით.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ინფორმაცია

№8 დანახაზულბაში ნარკობიკაშის შეტანის მსაჯობა აღკვეთის

სასჯილალსრულების სამინისტროს ინფორმაციით, 26 სექტემბერს 14:10 საათზე, სასჯილალსრულების დეპარტამენტის №8 დანახაზულბაში პატიმარ ბ.თ-სთვის ამანათის შეგზავნის მიზნით გამოცხადდა პატიმრის მამა, ვ.თ. ამანათის შემონგების შედეგად, ჯინსის შარვლის უკანა ჯიბეში მომწვანო ფერის მარცხენა ჯიბეში მომწვანო ფერის მცენარე აღმოაჩინეს. ამანათს პატიმარ ე.ს.-ს ძმა გ.ს. უგზავნიდა. ორივე ფაქტზე დაინშულია ექსპერტიზა. საქმეზე გამოძიება 19,378 - ე მუხლით მიმდინარეობს, რაც მსჯავრდებულისათვის საპატიმრო დანესტებულბაში აკრძალული საგნის, ნარკოტიკული საშუალების გადაცემის მცდელობას გულისხმობს.

დაკავებულია ორი ადამიანის მკვლელობაში ბრალდებული

თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს მე-2 განყოფილების თანამშრომლებმა 1965 წელს დაბადებული დავით ტ. რუსთაველი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული პიროვნება 2000 წლის 26 აგვისტოდან თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს მიერ სსსკ-ის 108-ე, 109-ე და 236-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის: ორი მოქალაქის განზრახ მკვლელობის, ერთი მოქალაქის მკვლელობის მცდელობისთვის, რომლებიც მასთან კომერციული საქმიანობით იყვნენ დაკავშირებული და ასევე, იარაღის უკანონო ტარებისთვის იძებნებოდა. დაკავებული სასჯილალსრულების მე-8 დანესტებულბაშია მოთავსებული.

ინტერპრესი

◎ გჯერათ?

სომცხალური გამოკითხვის შედეგად, ადამიანთა საკმაოდ დიდ ნაწილს სჯერა ნიშნებისა. საინტერესოა, რომ მათი უმრავლესობა 25 წელზე ახალგაზრდაა. რითი აიხსნება ესა თუ ის ნიშანი და ცრურწმენა? თავიანთი ფესვებით ისინი შორეულ წარსულს უკავშირდებიან, როდესაც ადამიანებს წარმოედგინათ, რომ მათელი სამყარო სიკეთესა და ბოროტებას შორის მუდმივი ბრძოლაა. და სწამდათ, რომ საიმეფვერო ძალები – ნათელი და ბნელი – ავლენენ თავიანთ თავს ყოველდღიურ ცხოვრებაში ნიშნებითა და კარნახებით. ჩვენი წინაპრები, როდესაც ცდილობდნენ, დაედგინათ კანონზომიერებანი, მომხდარ ამბებს რაღაც ნიშნებს უკავშირებდნენ. რატომ? რა ვქნათ?

სარკის ბატონისას – უბედურება გველის მრთ-მრთი ვერსიით, როდესაც ადამიანები ყოველდღიურად იზიზღებიან სარკეში, იგი აგროვებს მათ ნეგატიურ ენერჯის. როცა ტყდება, ელვისებურად ათავისუფლებს ამ ენერჯის. ამის გამო ოჯახში იწყება უსიამოვნებათა გამოვლინება. არის მეორე ახსნა. პირველი, სარკეები წარმოუდგენლად ძვირი იყო. მოსამსახურეები რომ ფრთხილად მოპყრობოდნენ სარკეებს, მათ აშინებდნენ უბედურებებით, მათ რომ შეიძლება დაატყდეს თავს. თავი სამჯერ უნდა შემოვებრუნოთ მარცხენა მხრისკენ და 9-ჯერ წარმოვთქვათ: „დაე, გატყდეს სარკე, უბედურება მე არ შემეხება“. ნამსხვრევების აკრეფა საჭიროა გარკვეული წესით. მაგალითად, არა აქანდაბით, არამედ თეთრი ქაღალდის ფურცელზე.

შავმა კატამ გზა გადაგვიძირა – უბედურება გველის შავი კატა ბეგრი ხალხის მითოლოგიაში ავის მომასწავლებელი სიმბოლოა. იგი

შავი კატა მარტივად

დაკავშირებულია უწმინდურ ძალასთან და ჯადოქრებთან. სწორედ კატად გადაიქცევიან ნოღმე ჯადოქრები. შუა საუკუნეების ევროპაში შავი კატა ეშმაკულ ცხოველად მიაჩნდათ: გზა გადაგიჭრათ არა კატამ, არამედ თავად სატანამ!

შემოტრიადილი მთლიანად, ესე იგი გზა დაიწყეთ ხელახლა. თითების გადაჯვარედინება – ეს სიმბოლური ჯვრით დაცვაა.

შავი გზიდან დაბრუნება – წარმატება არ იძენება

სახლის ზღურბლი – ესაა საზღვარი ორ სამყაროს შორის: საკუთარისა და სხვისა. თუ ადამიანი გამოვიდა სახლიდან და უმაღლეს დაბრუნდა, ის ვერ მიაღწევს მიზანს, რის გამოც დატოვა ბინა, და მისი სულერი ძალა სუსტდება. სახლის ზღურბლზე მას შეიძლება ელოდებოდნენ წინაპართა ნაწყენი ძალები, რომლებიც ამოად შეაწუხეს. ანდა სულაც, ბოროტი სულები, რომლებიც ოცნებობენ შეიჭრან თქვენს საცხოვრებელში.

სახლიდან განმეორებით გამოსვლის წინ უნდა ჩავიხედოთ სარკეში: სარკის მიერ ასახული სულები ძალა გავრამდობა, და ადამიანს უბედურება აღარ დაემუქრება.

შეგხვდით ძალი ცარილი ძურძლით – წარმატება არ იძენება
პირველი ენერჯიული ახსნა: ქალს ცარიელი სათავსით შეუძლია წაგართვას ცხოვრების ენერჯის ნაწილი (ჩაისხას იგი თავის ვედროში – ქურჭელში). მეორე, პრაქტიკული, გლეხური ყოფიდან: თუ ქ-დან მოდის ქალი ცარიელი ვედრებით, ესე იგი ქა ამოშრა და წყალი აღარაა. შემოუარეთ ქალს ცარიელი ქურჭლით რკალისებურად. სამჯერ გადახფურთხეთ მარცხენა მხრიდან, ჯიბეში თითები გადაავარედინეთ.

მარტივი დაბრუნება – წინ დავა გველი

ბეზრბან საკმაოდ დიდხანს მარტივი რად ფასობდა, მას, როგორც ძვირადღირებულ პროდუქტს, ისე უყურებდნენ. თუ სახლში ვინმე დაბნევიდა მას, ამას შეიძლება გაებრაზებინა პატრონი, გამოეწვია დავა მათ შორის. ამრიგად, დაბნეული მარტივი – ესაა რაღაც პროვოკაციის მაგვარი უწმინდურ ძალთა მხრიდან. შევავროვოთ მარტივი მწიკვად და გადავყაროთ მარცხენა მხრის მხრიდან: მაცდუნებელი ეშმაკი არის ზურგსუკან სწორედ ამ მხრიდან. უნდა გადავყაროთ სამჯერ, თანაც ამ დროს უმჯობესია ვიცინოდეთ – ამით ეშმაკს არ ვაჩვენებთ ჩვენს ნალველს.

დავუკაპუნოთ ხის – ავიცილოთ თვალის ახვევა

ქველი რწმენების თანახმად, სულები ცხოვრობდნენ ხეებში, ისინი შეგვეძლო მოგვეხმო დახმარებისთვის დაკავუნებით. ამას გარდა, მცენარეულ ღმერთებთან შეხებას ჰქონდა მაგიური მნიშვნელობა – ხე განიხილებოდა, როგორც სისხლის ნათესავი. ხეს უნდა დავუკაპუნოთ სამჯერ, სამიანი – ესაა პირველი რიცხვი მაგიური ციფრების რიგში.

ჩავაგდოთ ცხალში სურდა ფული – გადვირებას მოგვიტანს

(ან მოგვიყვანს კიდევ ან) ჩვენი წინაპრებს სწამდათ, რომ წყალსაცავებში არიან სულები. ოდესღაც წყალში უშვებდნენ ღმერთებისთვის შეწირულ მსხვერპლს. შემდეგ დაიწყეს მოკაზმულობის, მათ შორის ხურდა ფულის ჩაყრაც. ეს ცრურწმენა – მსხვერპლთშენიერვის წესწვეულების შემცველია. ხურდა ფული, რომელიც მარცხენა მხრიდან უნდა ჩავაგდოთ, დაგვეხმარება გავანიტრალოთ თვალის ახვევა, შური და რაიმეს გაფუჭება.

ხელის ჩამორთმევა ზღურბლზე (რამის გადაცემა, საუბარი) – ინფორმაცია

რამდენიმე ითქვა, სახლის ზღურბლი – ეს ორი სამყაროს საზღვარია, უსაფრთხოებისა და მტრულისა. სხვადასხვა მხარეზე მდგარი მოსაუბრეები თითქოს სხვადასხვა ბანაკებში არიან. ამას გარდა, ძველად ზღურბლის ქვეშ წინაპართა ცხედრებს მარხავდნენ. მათი შეწუხება მეტად სახიფათოდ ითვლებოდა. წესით სახლში უნდა შევიდეთ და ვისაუბროთ.

დაიჯესტი

პარაზიტი... თვალში



ონდოეთის ქალაქ მუმბაის ერთ-ერთ მცხოვრებს თვალდან...12 სანტიმეტრის სიგრძის ტია ამოუღეს.

75 წლის კაცი კლინიკაში მარჯვენა თვალის გალიზიანებისა და ძლიერი ქავილის გამო მივიდა. მისი დათვალიერებისას ექიმებმა თვალში უზარმაზარი პარაზიტი აღმოაჩინეს, რომელიც ქირურგიული ჩარევით ამოუღეს. თუ რა ჯიშისაა ეს პარაზიტი და როგორ მოხვდა იგი პაციენტის თვალში, ჯერჯერობით უცნობია.

თავაპოს მოწვევა

მწვანე კონტინენტზე

აშსტრალიის უზენაესმა სასამართლომ უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე თამბაქოს კომპანიებს, რომლებიც არ იყვნენ თანახმა 2012 წლის დეკემბრიდან სიგარეტის ერთიანი კოლოფებით გამოშვებაზე.



აბლა მხოლოდ წვრილი შრიფტითაა მითითებული, კოლოფის წინა მხარეს 75 და უკანა მხარეს 90 პროცენტს თამბაქოს მონევის საშინელი შედეგების ამსახველი ფოტოსურათები იკავებს.

ეს ყველა იმ ოჯახის ერთობლივი გამარჯვებაა, რომელმაც ახლოლები თამბაქოს მონევის გამო დაკარგა, განაცხადა სასამართლოს ვერდიქტის გამოცხადების შემდეგ ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ტანია პლიბერსეკმა.

მარბაჰალი რკა

თუკი ბავშვებს ყოველ დღე ჭიქა რქეს დააღვივნებთ, საბუნსო ასაკში სახსრებთან დაკავშირებით პრობლემების წარმოშობის რისკი 25 პროცენტის შემცირდება.



ეს დასკვნა დიდი ბრიტანეთის ბრისტოლის უნივერსიტეტის სოციალური და საზოგადოებრივი მედიცინის სკოლის მეცნიერებმა გამოიტანეს. მათი განცხადებით, სქესის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა ფაქტორების მიუხედავად, რძის სმის დადებითი შედეგი ყველა შემთხვევაში მიიღწევა. გამონაკლისი მხოლოდ ერთია: ესაა ინდივიდის საჭმლის მონელების სისტემის თავისებურება, რომელსაც ლაქტოზის გადაამუშავების უნარი არ შესწევს.

კონფუსი „სოფლიოს იაპროს“

მომლოცველი 2004 წლიდან ჩინეთში მსოფლიოს 104 ქვეყანაში 350-ზე მეტი კონფუციუსის ინსტიტუტი გახსნა, რომელთა ამოცანაა ჩინური ენისა და კულტურის პოპულარიზაცია.



2020 წლისთვის ჩინეთის განათლების სამინისტროს ათასზე მეტი ასეთი დაწესებულება ეყოლება. ბიბისის შემცველად მოსული ჩინეთის სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო სინხუა კი ამჟამად აფრიკის 27 ქვეყანაში მოქმედებს.

უსივოსლო მარსი

სან-ფრანცისკოში დეკემბერში გამართულ ამერიკის გეოფიზიკური კავშირის კონგრესზე მსოფლიოს სამეცნიერო სამყაროსთვის მეტად არასასიამოვნო ინფორმაცია გაჟღერდა: მარსზე სიცოცხლე არ არის.

ნოემბრის შუა რიცხვებში მარსმავადმა „ქურთოზითი“ ნიშბით მარსული გრუნტი ამოიღო და თა-



ვადვე, სავსე ლაბორატორიული დანადგარის „სემის“ მეშვეობით, მისი ქიმიური ანალიზი ჩაატარა. კონგრესზე მოხსენებით გამოსულმა ნასას სპეციალისტმა პოლ მაჰეფემ განაცხადა, რომ პირველი ანალიზის შედეგმა, რომელიც გეილის კრატერში, კლდოვანი ბუდის რაიონში აღებულ გრუნტის ანალიზით მიიღეს, დადგინდა, რომ მარსზე სიცოცხლე არ არის.

სხვა შედეგებიდან აღსანიშნავია, რომ გრუნტის სინჯებში მიგნებული წყლის მოლეკულები, დედამიწის წყალთან შედარებით, ხუთჯერ მეტ დეიტრიუმს, წყალბადის მძიმე იზოტოპს შეიცავენ.

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაპიტალიზმი ვახსენებთ



ახალგორში ოსური პასპორტის მსურველებისგან საპარტიო მითხარებაზე უარს მოითხოვს

ახალგორის რაიონში ოსური პასპორტის გაცემის პროცესი შეჩერებულია. როგორც ცნობილი გახდა, დე ფაქტო საპასპორტო განყოფილება ოსური პასპორტის მსურველებისგან საბუთს ითხოვს საქართველოს იურისდიქციის სამინისტროდან იმის შესახებ, რომ პირი მართლაც უარს ამბობს საქართველოს მოქალაქეობაზე. „არადა, აქ დიდი პენსიაა, ყველაზე ცოტა 300 ლარამდე რუბლებში, ოსური პასპორტის გარეშე კი ოსურულ პენსიას ვერ აიღებ“, - ამბობენ ახალგორელები.

„რეზონანსი“

„პუტინი პოლიტიკიდან მალე წავა“

ბანაცხადა გაეროს ტრიბუნლიდან მიხეილ სააკაშვილმა. მისი გამოსვლა, როგორც ყოველთვის, ემოციური იყო. საქართველოს პრეზიდენტმა ტრადიციას არ უღალატა და თავისი რუსი კოლეგა კიდევ ერთხელ გამოლანძღა. გაეროში სააკაშვილის გამოსვლამ რუსული დელეგაციის წევრები აღაშფოთა, მათ პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს. საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაზე მოგვიანებით კომენტარი გაეროში რუსეთის ელჩმა ვიტალი ჩურკინმა გააკეთა: - ქართველი ხალხის საბედნიეროდ, ეს ადამიანი, რომლის ფსიქიკური ჯანმრთელობაც სასწრაფო გამოკვლევას საჭიროებს, თავისი პოლიტიკური კარიერის დასასრულში იმყოფება, - აღნიშნა ჩურკინმა.

„ახალი თოგა“

„პირდაპირ გიტყვით, შიშული შარტავა სოსუმის მოედანზე არ დაუსვრებით“

ბანაცხადა ყოფილი ვიცე-პრემიერი და სოფლის მეურნეობის ექსპერტი ბაკურ გულუა. იგი შიშული შარტავასა და მამია ალასანიას დახვრეტის სკანდალურ ფაქტს ახმაურებს და ეროვნული გმირის ცხედრის სოსუმისგან თბილისში გადმოსვენების დეტალებს იხსენებს.

„ვერსია“

საქართველზე შურნალ-გაზეთისა და ტელევიზიებზე ცენზურის დაწესებას აპირებს?

სულ მალე პარლამენტში საკმაოდ საინტერესო დოკუმენტის განხილვა დაიწყება: მზადდება კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ენის ნორმების დარღვევა თანამდებობების პირებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაჯარიმებას გამოიწვევს. აღნიშნული ცვლილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში შედის, რომელიც „სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონში ცვლილებამ გამოიწვია. კანონის საფუძველზე სახელმწიფო ენის დაცვაზე ორი სპეციალური ინსტიტუტი - სახელმწიფო ენის ინსპექცია და სახელმწიფო ენის მუდმივმოქმედი სახელმწიფო კომისია იზრუნებს.

„ალია“

რეკლამა ბ. ახვლედიანის მ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანაკლოტები

შპანასკნელად გეკითხებით: როდის დამიბრუნებთ ვალს? მოხარული ვარ, რომ აწი არ აპირებთ ჩემთვის ასეთი სულელური კითხვის დასმას.

აზრზე არა ვარ, რა ვაჩუქო ცოლს დაბადების დღისთვის! - რა უყვარს მას? - უყვარს სიჩქარე.



რე, ოცნებობს ფრენაზე... - მაშინ ცოცხი აჩუქე!

თუ შეიძლება, ასი ცალი ვარდი შემირჩიეთ ჩემი ცოლისთვის, - თხოვს მამაკაცი ყვავილების მაღაზიის გამყიდველს. - ღმერთო ჩემო ასეთი რა ჩაიბინეთ?! - გაოცებულია გამყიდველი.

ბარშიმე ერთთავად საპარიკმახეროები და ბანკები, ხალხი კი მაინც უფულო და გაბურძენილია.

ავტორთა საჭურალო... რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA ბ. ახვლედიანის (მთავარი) პერსონალია მ. 19

გამომცემელი: შპს „თინადატომბა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი ტ. 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალექს ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოშულია 599 36-00-35